ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

მაკროეკონომიკის მიმართულება

გვანცა ჯანგველაძე

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი თემაზე:

„სამუშაო ძალის მიგრაცია და მისი მაკროეკონომიკური შედეგები „

მეცნიერ ხელმძღვანელი:
პროფესორი
მირიან ტუხაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

ოცდამეერთე საუკუნეში მიგრაციის ინტენსიურობა მთელს მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ეკონომიკურმა, სოციალურმა, კულტურმა ფაქტორებმა საგრძნობლად გაზარდა ქვეყნებს შორის მოსახლეობისა და სამუშაო ძალის გადაადგილების მასშტაბები. გლობალიზაციამ შეასუსტა სასაზღვრო დაბრკოლებანი და ადამიანებს მისცა გაცილებით მეტი შანსი, დაემკვიდრებინათ ადგილი საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშორმი ეხება სამუშაო ძალის მიგრაციას, მის მაკროეკონომიკურ შედეგებს. თანმიმდევრულადაა განხილული სამუშაო ძალის მიგრაციის არსი, ნაჩვენებია თუ რატომ, რა მიზეზით გადაადგილდებიან შრომისუნარიანი ადამიანები ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. განხილულია ის ფაქტორები და გარემოებები, რომლებიც ასტიმულირებენ აღნიშნულ პროცესებს და ზემოქმედებას ახდენენ ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე, ნაჩვენებია ის ტენდენციები და შედეგები რომლებიც ფიქსირდება მიგრაციის პროცესში. ნაშრომში შესწავლილია სამუშაო ძალის მიგრაცია საქართველოში და მისი რეგიონული თავისებურებანი, გამოკვლეულია აბაშის მუნიციპალიტეტიდან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ემიგრანტთა ოჯახები. დადგენილია ემიგრანტთა სტრუქტურა და მისი გავლენა აქ დარჩენილი ოჯახის წევრებზე, შესწავლილია ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების პირობები.

The annotation

Gvantsa Jangveladze "Migration of labor force and its macroeconomic outcomes"

The intensity of migration in the 21st century has dramatically increased worldwide economic, social and cultural factors have significantly increased the scope of population and workforce movement among the countries. Globalization reduced the boundary barriers and gave people much greater chance to establish a place in the international labor market.

Presented master's resignation applies to migration of workforce and its macroeconomic outcomes. The essence of migrating workforce is consistently considered, showing why, for what reason, people with disabilities are moving from one country to another. The factors and circumstances that are stimulating these processes and impact on the macroeconomic development of the country are reflected in the trends and results that are indicated in the migration process. The work has been studied in Georgia and its regional peculiarities of labor force, studied by the families of emigrants from Abasha municipality abroad. The structure of emigrants and its influence on the remaining family members has been established, the conditions for returning to the homeland of the emigrants have been studied.

შინაარსი

შესავალი 6

თავი1. სამუშაო ძალის მიგრაციის არსი და მისი ძირითადი ტენდენციები 9

1.1სამუშაო ძალის მიგრაციის არსი 9

1.2 სამუშაო ძალის მიგრაციის ძირითადი ტენდენციები 12

თავი 2.სამუშაო ძალის მიგრაცია საქართველოში და მისი ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები 24

2.1 სამუშაო ძალის მიგრაციის სტატისტიკ და მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები 24

2.1 სამუშაო ძალი სმიგრაცია და ადამინური კაპიტალი 31

2.3 ფულადი გზავნილები საქართველოში 33

2.4 სამუშაო ძალის მიგრაცია და ქვეყნის განვითარება 36

თავი 3.სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე 38

3.1 სამუშაო ძალის მიგრაცია და ეკონომიკური ზრდა 38

3.2 სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ინფლაციასა და გაცვლით კურსზე 41

3.3 სამუშაო ძალის მიგრაცია, დასაქმება და უმუშევრობა 43

თავი 4.სამუშაო ძალის ემიგრაციის რეგიონალური თავისებურებანი (აბაშის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) 55

თავი 5.სამუშოა ძალის მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში 70

5.1 ლეგალური შრომითი მიგრაციის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე 77

5.2 არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა 78

დასკვნა 80

გამოყენებული
ლიტერატურა.....83

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე, განვითარებულ სამყაროში უამრავი პრობლემა და გამოწვევაა, რომელთა წინაშე დგას ადამიანები და სახელმწიფო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია „მიგრაცია“. სამუშაო ძალის მიგრაცია თანამედროვე მსოფლიოს უმწვავესი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებით გაიზარდა 90-იანი წლების შემდეგ. მრავალმა კრიზისმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა ცვლილებებმა მოსახლეობის ნაწილი აიძულა, გამოსავალი ეპოვათ ქვეყნის სამუდამოდ ან დროებით დატოვებაში. დასაქმების მიზნით მიგრაციის ორი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არსებობს: 1) სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა, როდესაც შრომისუნარიან ადამიანთა უმრავლესობა ვერ პოულობს სამსახურს საკუთარ ქვეყანაში და 2) დაბალი ანაზღაურება- შრომის ანაზღაურება არ არის შესაბამისი, რომლითაც შეძლებენ დასაქმებულები თავიანთი ოჯახების რჩენას. აღნიშნულ შემთხვევაში, მოქალაქე იღებს გადაწყვეტილებას მიგრირების შესახებ, ირჩევს ქვეყანას, სადაც მუშახელის დეფიციტია. მიგრაციის ძირითადი მიზეზი თანამედროვე მსოფლიოში არის გადააგილების შესაძლებლობის გამარტივება საზღვრების გაფართოება და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ძიება, რაც სამუშაო ძალის მიგრაციას მთავარ ფორმად და სახეობად აქცევს. ასევე არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენს მიგრაციაზე, ესენია: დემოგრაფიული ცვლილება, ეკონომიკური კრიზისი, ქვეყნებს შორის შრომის ანაზღაურების მკვეთრი განსხვავება და ა.შ. აღნიშნული ფაქტორების შედეგად, იზრდება დასაქმების მიზნით მიგრირებულ ადამიანთა რაოდენობა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა შრომითი მიგრაცია. წლებთან ერთად მიმოსვლა ქვეყნებს შორის უფრო და უფრო იზრდება. ადამიანებს საშუალება ეძლევათ, ისწავლონ და იმუშაონ თავიანთი ქვეყნის საზღვრებს მიღმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში. შრომის ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი, მეტად ფართომასშტაბიანი გახდა. ადამიანები არჩევანის გაკეთებისას არ იზღუდებიან, რადგანაც საკუთარ ქვეყანაში არსებული ბაზრების გარდა, არსებობს სხვა

ალტერნატივებიც. ეროვნული განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უხდებათ კონკურენციის გაწევა მსოფლიოს სხვა ქყვეყნებთან, რათა მოიზიდონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრომაღალ დონეს. ცალკე საკითხია სარგებლის თემა, რომელსაც იღებს დამსაქმებელი/დასაქმებული ქვეყანა მიგრაციის შედეგად, სასარგებლოა თუ არა იგი განვითარებისათვის.

კვლევის მიზანია სამუშაო ძალის მიგრაციის მნიშვნელოვნებისა და მისი მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე გავლენის შეფასება. წარმოდეგნილ სამაგისტრო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამუშაო ძალის მიგრაციის მიზეზების გამოვლენას და მისი გავლენის შეფასებას ქვეყნის განვითარებაზე.

დასმული ამოცანების შინაარსი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასმული და გადაწყვეტილია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- განხილულია სამუშაო ძალის მიგრაციის არსი და მისი ძირითადი ტენდენციები;
- შესწავლილია სამუშაო ძალის მიგრაცია საქართველოში და მისი ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები;
- შესწავლილია სამუშაო ძალის მიგრაციის სტატისტიკა და მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები;
- შესწავლილია სამუშაო ძალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე;
- შესწავლილი ფულადი გზავნილები საქართველოში;
- გამოკვლეულია სამუშაო ძალის ემიგრაციის რეგიონალური თავისებურებანი აბაშის მუნიციპალიტეტის მაგალითზე;

კვლევის ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია სამუშაო მიზნით ემიგრირებული ადამიანები.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები. სამუშაო ძალის მიგრაციის ეკონომიკაზე გავლენის შესაფასებლად კვლევის პროცესში გამოყენებულია ადგილობრივი დასაზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერ-ეკონომისტთა და მკვლევართა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის კვლევები. ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა: თეორიული და პრაქტიკული მასალების ისტორიული და ლოგიკური ანალიზი, რომელიც საშუალებას

გვაძლევს შევისწავლოთ მოვლენები და პროცესები დინამიკაში, სინთეზი, შესასწავლი პროცესების მოდელირება მათი აღწერის, შედარებისა და განზოგადების გზით.

თავი I. სამუშაო ძალის მიგრაციის არსი და მისი ძირითადი ტენდენციები

1.1 სამუშაო ძალის მიგრაციის არსი

მიგრაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ადამიანის გადაადგილებას ან გადასახლებას სხვადასხვა ვადით (რამდენიმე საათიდან სიცოცხლის ბოლომდე), რომელიც სტატისტიკურად აღრიცხვადი საზღვრების (ძირითადად ქალაქის, ქვეყნის და სხვა ადმინისტრაციული საზღვრების) გადაკვეთაში გამოიხატება.

განასხვავებენ:

- მუდმივ მიგრაციას,რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლასთან.
- დროებით მიგრაციას, როდესაც გადასახლება ხდება საკმაოდ ხანგრძლივი დროით.
- სეზონურ, ქანქარისებურ, შიდა, გარე, იძულებით და სხვასახის მიგრაციებს.

ემიგრანტი - ერთი ქვეყნიდან სხვა უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასული პირი, რომლის არყოფნა წარმოშობის ქვეყანაში აღემატება 12 თვეს.

იმიგრანტი - პირი, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ უცხოვრია 12 თვეზე მეტ ხანს (განურჩევლად მოქალაქეობისა), გარდა იმ პირისა და მისი ოჯახის წევრებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ან/და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით და პირი, რომელიც იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სამუშაო ძალის მიგრაციის სხვადასხვა განმარტებები არსებობს: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით სამუშაო ძალის მიგრაცია განისაზღვრება, როგორც დასაქმების მიზნით გადაადგილება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით კი, სამუშაო ძალის მიგრაცია არის გარკვეული დროით (3თვეზე მეტი ხნით)

საზღვარგარეთ დასაქმება, შემოსავლის მიღების მიზნით. იგი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავის დაღწევის შედარებით ეფექტური, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაა, მოსახლეობის საშუალო კლასისა და საბაზრო ურთიერთობების ფაქტორი, საერთაშორისო ეკონომიკური გამოცდილების, პროფესიული ცოდნისა და კულტურის გაზიარების საშუალებაა. მიგრაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, პროფესიულ მომზადებაზე, გამოცდილებაზე, კვალიფიკაციაზე და სხვა.

ჟ.ა ზაიონჩკოვსკაია სამუშაო ძალის მიგრაციას განსაზღვარავს როგორც ადამიანთა დინამიურ, მოქნილ და ყველაზე დიდ მიგრაციულ ნაკადს, რომელიც სტიმულირდება მძიმე ეკონომიკური სიტუაციით. შრომითი მიგრაცია უკავშირდება ანაზღაურებას და გამომუშავებული თანხით განსაზღვრული პერიოდის ბოლოს უკან დაბრუნებას.[1]

ხშირად მიგრაცია ახსნილია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიხილება, მათ შორის მათთვისაც, ვინც ვერ იპოვა თავისი ადგილი ეროვნულ შრომის ბაზარზე ან საერთოდ, იგნორირებული იქნა მის მიერ. საშოვარზე წასვლა ეს ის გზაა, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს თითოეულმა მოქალაქემ. განსაკუთრებით დიდია მისი გადამრჩენი როლი იმ საშუალო და მცირე ქალაქების მოსახლეობისთვის, სადაც მოხდა წარმოების სრული გაჩერება.

საინტერესო განმრატება აქვთ მიგრანტების რ. ბილსბოროუსა და გ. ჰიუგოს მათი განმარტებით შრომითი მიგრანტები არიან პირები, რომლებიც ქვეყნის მიერ მოზიდულნი არიან მხოლოდ ეკნომიკური საქმიანობის მიზნით და არ წარმოადგენენ მათ მოქალაქეებს.[2]

---

[1] Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Выпуск II. М. 2001. с.4

[2] Билсборроу Р.Е., Хьюго Г., Оберай А.С., Злотник Х. Статистика международной миграции. гл.2. МБТ. Женева-Москва, 1999. стр.176.

ამრიგად თუ შევაჯამებთ მივიღებთ, რომ შრომითი მიგრანტი, არის პირი, რომელიც იმუშავებს, მუშაობს და მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქედაც ის არ ითვლება.[1]

[3] *საერთაშორისო კონვენცია შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ.* (1990). მუხლი 2.1.

1.2 სამუშაო ძალის მიგრაციის ძირითადი ტენდენციები

შესაძლებელია მოვახდინოთ მიგრაციის კლასიფიკაცია. იგი შემდეგი სახისაა:მუდმივი, ხანგრძლივვადიანი, დროებითი, ტრანზიტული, იძულებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, შრომითი, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო, რეკრეაციული, სამკურნალო, სამივლინებო მიგრაციები[1].

მოსახლეობის გადასახლებისგან განსხვავებით, შრომითი მიგრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო მიგრანტებს ადგილობრივ ქვეყანაში, გამგზავრებამდე, საშუალო შემოსავალის მიღების შესაძლებლობა აქვთ. ხშირ შემთხვევაში, მიგრანტები არ განეკუთვნებიან უღარიბეს მოქალაქეთა რიცხვს, ღარიბი ქვეყნების მოსახლეობას, რომელთაც დაბალი შემოსავალი აქვს, არ აქვს შესაძლებლობა, როგორც ფინანსური, ასევე ინფორმაციული თვალსაზრისით, რომ ჩაებან ფართომასშტაბიან საერთაშორისო მიგრაციაში. საერთაშორისო მიგრანტთა უმრავლესობა, საშუალო ფენის წარმომადგენელია.

[1]ჭელიძე ნ.*შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი: ლეგა, (2007). გვ.5.

სქემა №1.1

მსოფლიო მიგრანტთა განაწილება შემოსავლიანი ქვეყნების მიხედვით (2017წ)



წყარო: https://www.iom.int/wmr/chapter-2

მიგრაციაში ჩაბმის გადაწყვეტილების მიღება არ ხდება მხოლოდ მატერიალური მხარის გათვალისწინებით, აგრეთვე გათვალისწინებულია მორალური ღირებულებები, რომელთა შეფასების საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება. ძირითადად ეს ფაქტორები არის ოჯახისა და ახლო ნაცნობებისაგან შორს ყოფნის სანაცვლოდ მატერიალური უზრუნველყოფა.[1]

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, მილიონობით ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას მიგრირების შესახებ, რათა თავიანთ ოჯახის წევრებს შეუქმნან უკეთესი საცხოვრებელი პირობები. მიგრაციის წილი სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში საკმაოდ დიდია. დიდია სამუშაო ძალის მიგრაციის როლი მსოფლიოს ქვეყნების განვითარებაში, მიუხედავად მოცემული ქვეყნების ნეგატიური განწყობისა.

[1]*Amelie Constant, IZA BONN, University of Bonn. Immigrant Performance and Selective Immigration Policy: A Perspective, Germany discussion Paper No.1715,august 2005, papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=789444.*

მსოფლიო ქვეყნებს შორის საზღვრების გახსნით იზრდება საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის გადაადგილება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს დასაქმებაზე. ამ დროს შრომითი მიგრაციის მასშტაბები იზრდება. შრომითი მიგრაციის და დასაქმების ძიებაში, ადამიანების მიერ საზღვრების გადაკვეთის კონტროლი, მრავალი ქვეყნის პოლიტიკის სტრატეგიული კურსის შემცველ ნაწილად იქცა.[1]

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის, პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესებიდან გამომდინარე, მიგრაციული ნაკადების ზრდა უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და ყურადღების ცენტრში ექცევა[2]. მსოფლიო გლობალიზაციის პერიოდში, საერთაშორისო მიგრაციული პროცესი, გასულ პერიოდთან შედარებით, მკვეთრად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით გაიზარდა მიგრანტთა რაოდენობა. საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა 2000 წელს 173 მილიონი, 2010 წელს 220 მილიონი იყო, ხოლო 2017 წელს 258 მილიონი გახდა. საერთაშორისო მიგრანტთა 60% ევროპასა და აზიაში ფიქსირდება.

---

[1]კალანდაძე, ნ.*შრომითი მიგრაცია, შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების წევრების უფლებები და საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა.* თბილისი: თსუ გამომცემლობა. (2010).გვ.10

[2]სტუდენტთა და ასპირანტთა კვლევის საზოგადოება,*დღევანდელი მიგრაციის პოლიტიკიდან გამომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების გზები, მიგრაციის ცენტრი*.თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი. (2012). გვ.11.

სქემა№ 1.2

მიგრანტთა განაწილება რეგიონების მიხედვით (2017 წელი)



წყარო: https://www.iom.int/wmr/chapter-2

2015 წლის მონაცემებით, 243,700,236 საერთაშორისო მიგრანტი იყო, 15 წელს ზემოთ ასაკის მიგრანტი- 207 მილიონი,ხოლო დასაქმებულ მიგრანტთა რაოდენობა 150 მილიონია.[1] აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები არ მოიცავს არალეგალური მიგრანტების რაოდენობას. მსოფლიო მოსახლეობის ყოველი 30-ე მიგრანტია. საერთაშორისო მიგრანტების 52% არის მამაკაცი, ხოლო 48% ქალი.

[1]*ILO global estimates on mgiration workers 2015.*

სქემა №1.3

საერთაშორისო მიგრანთა რიცხოვნობის დინამიკა 1990-2015 წწ. (მლნ)



წყარო:https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

მიგრანტთა რაოდენობასთან ერთად იცვლება მიგრაციის მიზეზები. თუ გასულ საუკუნეებში მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენდა: საერთაშორისო, სამოქალაქო, ეთნო კონფლიქტები, პოლიტიკური და რელიგიური დევნა, ამ მიზეზებს კიდევ დაემატა სხვა ფაქტორები: უმუშევრობა, არასრული დასაქმება, განსხვავება ქვეყნების ანაზღაურებებს შორის, მცირე შემოსავალი, ეკონომიური და სავაჭრო კავშირების განვითარება, კომუნიკაციის გაუმჯობესება და სატრანსპორტო მომსახურების ფასების მკვეთრად შემცირება, სოფლის მოსახლეობის ზრდა, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა სიჭარბე და თანამედროვე ტექნოლოგიებთან შეუსაბამობა, ქვეყნის მოსახლეობის სიმჭიდროვე, დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებში მუშახელზე მოთხოვნის ზრდა, მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის მზარდი სხვაობა ეკონომიკის გლობალიზაცია და ა.შ.[1]

[1]ჭელიძე, ნ. *შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში* ლეგა, (2006).გვ.7

მიგრანტები არიან მსოფლიოს 240-ზე მეტ ქვეყანაში.[1] მიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობა 47 მლნ ადამიანი ფიქსირდება აშშ-ში. ეს ციფრი კი თითქმის 4-ჯერ აღემატება მეორე და მესამე ადგილზე მყოფ რუსეთის და გერმანიის მაჩვენებლებს. (12-12 მლნ მიგრანტი თითოეულ ქყვეყანაში). მიგრანტთა ნაკადების მიმღები ქვეყნების პირველ ათეულში მყოფ ქვეყნებზე ჯამში 135 მილიონი მიგრანტი მოდის, მსოფლიო მიგრანტთა 51,2 % მათ შორის, პირველ ხუთეულში - 90 მლნ კაცი, ანუ 36,7 %.

სქემა № 1.4

იმიგრანტთა რიცხოვნობა მიმღებ ქვეყნებში (მლნ.)



წყარო: https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

[1] https://blogs.worldbank.org/peoplemove

სქემა № 1.5

ემიგრანტთა რიცხოვნობა წარმომშობ ქვეყნებში (მლნ)



წყარო:https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

მიგრანტთა საერთო რაოდენობიდან დაახლოებით 60 მლნ მიგრანტი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდაა. იძულებულნი გახდნენ, თავინთი ქვეყანა დაეტოვებინათ, კონფლიქტების საომარი მოქმედებების, და პირადი უსაფრთხოების პრობლემის გამო და ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან ლტოლვილთა კატეგორიას.

მიგრაცია მრავალი ფაქტორით განისაზღვრება, თუმცა მთავრი ფაქტორი მაინც ეკონომიკური მიზეზებია. სწორედ ეკონომიკური ფაქტორებით არის საქართველოდან გასული მიგრანტების არანაკლებ 75%. ხოლო დანარჩენ მიზეზებს - ოჯახების გაერთიანება, ეთნიკური მიგრაცია საკუთარ ისტორიულ სამშობლოში. სწავლის ან ჯანმრთელობის პრობლემების გამო გასულთა რაოდენობა საერთო რაოდნეობის მხოლოს 25%-ია.

მსოფლიო მიგრაციული სტატისტიკის მრავალწლიანი ანალიზი ადასტურებს შემდეგი კანონზომიერების არსებობას:

- ქვეყნის ლიბერალურობის ხარისხი განსაზღვრავს მისი მოსახლეობის მობილურობას, რაც უფრო ლიბერალურია საზოგადოება, მით უფრო მეტია მოსახლეობის გადაადგილება.
- რაც უფრო ნაკლებია მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მით უფრო დიდია მოტივაცია ერთი ქვეყნიდან მეორეში შრომითი მიგრაციის, და პირიქით, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს დონე მით უფრო მაღალია ასეთ ქვეყნებში, სხვა ქვეყნებიდან შრომით მიგრანტების გადაადგიელბის მოტივაცია.
- ქვეყანაში დემოკრატიის და თავისუფლების დონე უკუპროპორციულად აისახება მიგრაციული ნაკადების ინტენსივობაზე.
- ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერიოდში მოცემული ქვეყნიდან მიგრაციულ ნაკადებში მცირდება ეკონომიკური მიზნით მიგრირებულთა რაოდენობა და იზრდება არაეკონომიკური მოტივებით მიგრანტთა რაოდნეობა.

ასევე, გამოვყოფთ შრომით მიგრანტთა მიერ კონკრეტული ქვეყნის არჩევის განმაპირობებელ ფაქტორებს რის მიხედვითაც მიგრანტი ირჩევს ამა თუ იმ ქვეყანას.

- მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და სამუშაოს შოვნის მაღალი ალბათობა;
- ენობრივი ბარიერის დაძლევისა და კულტურულ-მენტალური ადაპტირების შესაძლებლობა;
- მიგრანტის პიროვნული სოციალური დაცულობის და უსაფრთხოების დონე ;
- სამშობლოსთან გეოგრაფიული სიახლოვე;
- მიმღებ ქვეყანაში მოხვედრის სიმარტივე.

მიგრანტებით მიღებული სარგებელი ძალიან დიდია განვითარებული ქვეყნებისთვის,რადგანაც იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის სიმცირეა და შესაბამისად მუშახელის ნაკლებობაა, მიგრანტთა სახით ხდება სამუშაო ადგილების შევსება.განვითარებული ქვეყნების პენსიონერთათვისაც მომგებიანია მიგრანტთა

რაოდენობის ზრდა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განვითარებად ქვეყნებს კი, სადაც მოსახლეობის სიჭარბეა, ემიგრაცია ათავისუფლებს ქვეყანას ჭარბი მოსახლეობისგან, ერთგვარი ამოსუნთქვის ეფექტს უქმნის. მეორე მხრივ, მიგრანტები თავიანთი ოჯახის წევრებისთვის, როგორც წესი, ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ.

თანამედროვე მიგრაციას მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორიც განსაზღვრავს, რომელიც ასევე რამდენიმე პუნქტს მოიცავს: პირველი არის დემოგრაფიული ფაქტორი: ევროპის მოსახლეობა მცირდება და ბერდება. ამიტომ დიდია მოთხოვნა როგორც მაღალკვალიფიციურ, ასევე დაბალკვალიფიციურ მუშახელზე. საკითხის მეორე მხარეს წარმოადგენს ის, რომ ბევრ ქვეყანაში ძალიან მაღალია, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კოეფიციენტი-ჭაბმოსახლეობაა, განსაკუთრებით სამხრეთ აზიასა და აფრიკაში და ეს ქვეყნები მუშახელის ჭარბი რაოდენობით გამოირჩევა. მაშინაც კი, როდესაც განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს თავიანთ ქვეყნაში სამუშაო აქვთ, მათ უკეთესი შემოსავალი უნდათ და ამიტომ ხდებიან მიგრანტები. დიდი ზეგავლენა აქვს მიგრაციის პროცესებზე გლობალიზაციასაც. დიდი დრო გავიდა და ადამიანთა ცნობიერება შეიცვალა მას შემდეგ, რაც აფრიკის სოფლის მცხოვრებს თავი მდიდარი ეგონა მარტო იმიტომ, რომ ორი თხა ჰყავდა, მის მეზობელს კი ერთი.

გაეროს ექსპერტების განცხადებით, ბევრ განვითარებულ ქვეყანას, მათ შორის - იტალიას, საფრანგეთსა და გერმანიას და ა.შ. შობადობის შემცირებისა და ხანდაზმულ ადამიანთა ზრდის გამო სოციალური დაცვის საკითხებში შეექმნებათ პრობლემები.თუ წინა საუკუნეებში ერთი პენსიონერის ფარდობა ჩვეულებრივ მოსახლეობასთან იყო 4-5 ადამიანი, იგივე შეფარდება განვითარებად ქვეყნებში შეიძლება 2, ან უფრო ნაკლები შრომისუნარიანი ადამიანის შეფარდება იყოს ერთ პენსიონერთან.

დღევანდელ მსოფლიოში, შობადობის შემცირების მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება. გარდა ამისა, შეიცვალა საპენსიო ასაკი და გაიზარდა ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. აქედან გამომდინარე ბუნებრივია ის ფაქტი,რომ შობადობის შემცირებამ გამოიწვია შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირება

პენსიონერებთან. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად კი გვევლინება მუშახელის უცხოეთიდან მოზიდვა, ანუ მიგრაცია, რომლითაც შესაძლებელია მოსახლეობის გაზრდა და მისი დაბერების შენელება, ანუ გაახალგაზრდავება.[1]

მიგრაციის კიდევ ერთ ხელშემწყობ მოვლენად შეიძება განვიხილოთ 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ადგილას ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოთა წარმოშობა. გაჩნდა ახალი სახელმწიფო საზღვრები და თანდათან გაიზარდა ამ საზღვრების გადამკვეთთა რიცხვიც, რომელმაც გაზარდა საერთაშრისო მიგრანტთა რაოდენობა.

განვითარებად ქვეყნებში დღეს, ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა. გაეროს მოსახლეობის განყოფილების დირექტორი, ჯოზეფ შამისი ამბობს რომ, მიგრანტების ზრდის მიზეზი ყოველთვის ნეგატიური არ ყოფილა, არამედ ეს ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილებაა, ეძიოს უკეთესი. მიგრაციის კიდევ ერთმნიშვნელოვან მიზეზად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი. ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან და რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. როდესაც ადამიანები ხედავენ რომ სამშობლოში თავიანთი უნარების ფასი სხვა ქვეყნებთან შედარებით მკვეთრად განსხვავებულია,დაბალია,ისინი ამჯობინებენ წასვლას იმ ქვეყნებში, სადაც თავიანთი უნარებს შედარებით მაღალი ფასი აქვს. შესაბამისად, სადაც უნარებს დაბალი ფასი აქვს იმ ქყვეყნის მოქალაქე მიდის უკეთესი პირობების შესაქმნელად სხვა ქვეყანაში,რაც შემდეგ იწვევს უნარების დეფიციტს მოცემულ ქვეყანაში,მცირდება მაღალი უნარების მქონე მოქალაქეთა რაოდენობა,რაც შემდეგში იწვევს დაბალი უნარის მქონე მოქალაქისთვის ფასის მაღლა აწევას,ხოლო დაბალი უნარის მქონდე მოქალაქის მწარმოებლურობა შესაბამისად დაბალია, რაც შემდეგ აფერხებს ეკონომიკურ ზრდას,აქედან შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგის მომტანია, როდესაც მას მაღალი უნარის მქონე მოქალაქეები ტოვებენ და მიდიან ემიგრაციაში. გარდა მაღალუნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც

[1]*World Migratiom 2008,Managing labour Mobility in the Evloving Global Economy,Vlolume 4,IOM Worls Migration Repors Serias,international Organization for migration, 2008.*

სწორედ უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთის მხრივ,განვითარებადი ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა ის, რომ მის მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ეზიარონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა, რომლის დანერგვას და გაზიარებასაც საკუთარ ქვეყანაში შეძლებენ. მეორეს მხრივ არის კი ეს ყოველივე ასე? სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში პასუხი უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულ საკითხებთან მიმართებაში ძალიან მწირია სტატისტიკური მონაცემები, პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი,იშვიათად ბრუნდება განვითარებული ქვეყნებიდან, განვითარებად ქვეყნებში, რისი მიზეზიც კვლავაც უნარების ფასთასხვაობა და ამ უნარების გამოყენების შესაძლებლობაა. ხშირ შემთხვევაში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ნაკლებ რესურსს უთმობენ კვლევით კომპონენტს, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში პრიორიტეტულია, იგი მაღალიუნარების მქონეპი რებს საშუალებას აძლევს, რომ საკუთარი ცოდნა და უნარები მეტად ეფექტიანად გამოიყენონ.

საერთაშორისო მიგრაციის შესწავლა მსოფლიოში დაფუძნებული ოთხ ძირითად საინფორმაციო წყაროზე: სასაზღვრო სტატისტიკა; ადმინისტრაციული წყაროები; მოსახლეობის რეგისტრი, მოსახლეობის აღწერა, ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე; ნებართვა მიგრანტის დასაქმებაზე და შერჩევითი გამოკვლევა.

სასაზღვრო სტატისტიკა მოიცავს ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში შესვლა-გამოსვლის ყველა ფაქტს. მაგრამ ის არ განასხვავებს ერთმანეთსგან შრომით მიგრანტებს, ტურისტებს, თუ სტუდენტებს. ამიტომ იგი შრომითი მიგრაციის შესასწავლად ნაკლებად მიზანშეწონილია.

უკეთეს შესაძლებლობას იძლება ადმინისტრაციული რეგისტრი, რომლის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს მოსახლეობის რეგისტრი, მათ შორის უცხოელთა რეგისტრი. მას გამოყოფენ ცალკე კატეგორიებად, რადგან განსხვავებით მონაცემთა შეკრების სხვა სისტემისგან იგი ახდენს ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა უწყვეტ რეგისტრაციას, მოიცავს თითოეული ადამინის სტატუსის ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციას. უცხოელთა რეგისტრი ფლობს ინფორმაციას

საერთაშორისო მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, განათლებაზე, პროფესიაზე, დასამქების შესაძლო ტიპზე, ქვეყანაში დარჩენის სავარაუდო ხანგრძლივობაზე და ა.შ. რეგისტრში ყველა უცხოელის ჩართვა ვერ მოხერხდა სხვადასხვა ქვეყანაში დამატებითი პირობების მოთხოვნის გამო (კერძოდ, ქვეყანაში ყოფნის მინიმალური ხანგრძლივობის დადგენა ქვეყნების გადაწყვეტილების მიხედვით; გადაადგილების თავისუფალი რეჟიმი სხვადასხვა პირობებში აყენებს უცხოელებს).

შრომითი მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ადმინისტრაციული წყაროს ნაისრახეობაა საცხოვრებელ ადგილზე ნებართვების სტატისტიკა, იგი ასახავს უცხოელის ყოფნას ქვეყანაში და იძლევა მუდმივად გადმოსახლებულების, შრომითი მიგრანტების, სტაჟიორების, უცხოელი სტუდენტების, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ვიზის ტიპის მიხედვით, მაგრამ ვერ ეხება თავისი მოქალაქეების გადაადგილებას.

მოსახლეობის აღწერა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშრისო მიგრაციის შესახებ უფრო მრავლისმომცველი ინფორმაციული ბაზაა ქვეყნებს შორის შედარების გასაკეთებლადაც. მოსახლეობის აღწერის მთავარ დადებით მხარედ სხვა წყაროებისგან განსხვავებით შეილება ჩაითვალოს ის, რომ იგი მოიცავს უკანონო მიგრანტებსაც. გაერო და მასში შემავალი სტრუქტურები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის დამუშავებაში ეყრდნობიან აღწერების მასალებს.

ემიგრაცია გარკვეულწილად საჭიროა, რათა არსებობდეს საერთაშორისო გზავნილები, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლოს მაღალგანვითარებადი ტექნოლოგიების შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ეს ყოველივე რთულია მანამ, სანამ ადგილი ექნება ქვეყნიდან მაღალუნარიანი კადრების გადინებას. ვინაიდან ადამიანური კაპიტალი არის ქვეყნის განვითარებისათვის და ეკონომიკური წინსვლისათვის მნიშვნელოვანი.

თავი II : სამუშაო ძალის მიგრაცია საქართველოში და მისი ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები

2.1 სამუშაო ძალის მიგრაციის სტატისტიკა და მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები

მიგრაციის პრობლემა აწუხებს მთელს მსოფლიოს და, მათ შორის, საქართველოსაც. ბოლო წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წასული მოქალაქეების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ შრომითი მიგრაცია,წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. 90-იანი წლებიდან გახდა აქტუალური საქართველოს მოსახლეობის ემიგრაცია, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა. მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელია უმუშევრობა, რომელიც დღემდე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ემიგრანტთა რაოდენობის დათვლა. 1989 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა 5 მლნ 401 ათასი კაციიყო, 2014 წლის აღწერის შედეგებით კი იგი 3 მლნ 730 ათასამდე შემცირდა.[1] ანუ 1989-2014 წლებში მოსახლეობის პირდაპირმა კლებამ 1 მლნ 687 ათასი კაცი შეადგინა. აღნიშნულ წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების გათვალისწინებით (225 ათასიკაცი), საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1 მლნ 912 ათასი კაცით შემცირდა, რაც ფაქტობრივად მიგრაციის ხარჯზე საქართველოს მოსახლეობის კლების მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, ემიგრანტებიდან ყველა არ არის შრომითი ემიგრანტი და მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ქვეყნებში (მათ შორის ისტორიულ სამშობლოში) მუდმივად საცხოვრებლად ან სასწავლებლად წავიდნენ, მაგრამ ექსპერტული შეფასებით, ემიგრანტთა სულ ცოტა 60% (1 მლნ 200 ათასიკაცი) საქართველოდან შრომითი ემიგრანტია. ეს ციფრი ხშირად სპეციალისტთა კამათის საგანია (სახელდება სხვადასხვა ციფრები - 120 ათასიდან 2

[1]სტატისტიკისეროვნულისამსახური:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

მლნ კაცამდე), მაგრამ ფაქტია, რომ შრომითი ემიგრაციის მასშტაბები საქართველოსთვის ძალიან დიდია. ფაქტობრივად არ დარჩენილა საქართველოს არცერთი კუთხე, მუნიციპალიტეტი, მოსახლეობის არცერთი ჯგუფი, რომელსაც შრომით იმიგრაცია ამა თუ იმ სახით არ შეეხო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლების განმავლობაში იცვლება ემიგრაციული და იმიგრაციული ნაკადების მოცულობა და ინტენსივობა, მაგრამ მიგრაციული სალდო (ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას შორის სხვაობა) საქართველოსთვის ძირითადად უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნიდან უფრო მეტი გადის, ვიდრე შემოდის. მიგრაციული სალდოს ცვლილება 2000-2016 წლებში ნაჩვენებია დიაგრამაზე .

დიაგრამა *№ 2.1*

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდო 1990-2019 წწ.



წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახური:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

მართალია, ბოლო წლებში საქართველოს მიგრაციული სალდო შემცირდა, მაგრამ ეს შემცირება არ შეხებია საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ წასვლის ინტენსივობას. უფრო მეტიც, იზრდება ქვეყნიდან გასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა. საქართველოს მოქალაქეების მიგრაციული სალდო პერმანენტულად უარყოფითია და 30-დან 15 ათას კაცამდე მერყეობს. ეს ტენდენცია უკანასკნელ წლებშიც შენარჩუნებულია.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა საზღვარგარეთ წასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა. ოფიციალური მონაცემებით, უვიზო რეჟიმის შემოღებიდან (2017 წლის 28 მარტი) 1 წლის განმავლობაში 240 ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა ამ რეჟიმით, თუმცა მათგან რამდენმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა დასაქმების მიზნით, უცნობია.

სქემა № 2.2

ემიგრანტთა განაწილება 10 ძირითადი ქვეყნების მიხედვით:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნულისამსახური:https://www.geostat.ge/ka

2014 წლის აღწერის მონაცემების ანალიზს თუ გავაკეთებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ, 2002 წლის 1 ინვრის შემდეგ წასული და აღწერის მომენტისათვის 2014 წლის ნოემბრისთვის ემიგრანტების რაოდნეობამ 88 541 ადამიანი შეადგინა. ემიგრანტების განაწილება რეგიონების მიხედვით კი ასე გამოიყურება:

საქართველოდან წასულ მიგრანტების უმრავლესობას შრომისუნარიანი აქტიურ მოქალაქეების რიცვხი შეადგენს ყველაზე მეტი მიგრანტი 15 დან 64 წლამდე ასაკის მოქალაქეები არიან, შეგვლიძლია სქემა № 2.3-ზე ნათლად დავინახოთ მიგრანტთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

სქემა № 2.3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

სამუშაო ძალის მიგრაციის ძირითად მიზეზად, როგორც აღვნიშნეთ მუშევრობა სახელდება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უმუშევრობას შემდეგნაირად განმარტავს, უმუშევრად ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა

(ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან დროებით დათხოვნილი და სამსახურის დაწყების მოლოდინში მყოფი პირებიც. ექსპერტთა შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში 32-36%-ის ფარგლებშია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2000-2016 წლებში უმუშევრობის დონე 10.3-11.%-მდე მერყეობდა, მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა 2009 წელს 16.9%. 2017 წლის მონაცემებით კი უმუშევრობის დონე 13.9% იყო. უმუშევრობის ასეთი დონე და მასშტაბები განპირობებულია საქართველოს ეკონომიკური თავისებურებებისა და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. საქართველოში დასაქმებულთა 2/3 თვითდასაქმებულია. უმუშევართა უმრავლესობა გამოსავალს სხვადასხვა მიმართულებებში ხედავს. ნაწილი ფიქრობს, რომ საკუთარი ძალები და სახსრები სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიმართონ, დაიწყოს და განავითაროს საკუთარი ბიზნესი თუმცაღა აგრეთვე არსებობს ადამიანთა ის კატეგორიაც რომლებლიც გამოსავალს მიგრაციაში პოულობენ და ფიქრობენ ქვეყნის დატოვებაზე. ძალიან ბევრ ადამიანს გააზრებული და გათვიცნობიერებული არ აქვს თუ რა ელოდება მას და რა შედეგი შიძლება მოიტანოს მიგრაციამ. მათთვის მთავარია დატოვოს საკუთარი ქვეყნის ფარგლები და მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად წავლენ, პროცესების შესაბამისად ყოველწლიურად იზრდება საქართველოდან მიგრირებულ ადამიანთა რაოდენობა. არაოფიციალური სტატისტიკით მიგრანტ მამაკაცებს სჭარბობს ქალი მიგრანტების რაოდენობა. უმეტესობა მათგანი არალეგალურად იმყოფება უცხო ქვეყანაში. საკუთარი პროფესიით კი ძალიან მცირე რაოდნეობაა დასაქმებული.

სქემა № 2.4 დატანილია 2012 წლიდან 2018 წლამდე როგორ იცვლებოდა საქართველოში უმუშევრობის დონე:

სქემა № 2.4

უმუშევრობის დონის ცვლილება საქართველოში 2012-2018 წწ.



ცხრილი № 2.1

მიგრანტების განაწილება საქართველოდან წასვლამდე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ქ. თბილისი	31.6 %
იმერეთი	22.9 %
ქვემო ქართლი	12.5 %
კახეთი	8.2 %
სამეგრელო ზემო-სვანეთი	7.8 %
შიდა ქართლი	4.6 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	4.5 %
სამცხე-ჯავახეთი	3.1 %
მცეთა-მთიანეთი	2.5 %
გურია	1.6 %
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	0.6 %
სულ	100

მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ ემიგრანტების უმრავლესობა ქ. თბილისიდან არის. შემდეგ ემიგრაცია ყველაზე ინტენსიურია იმერეთის რეგიონიდან. ასევე საკმაოდ დიდია ემიგრაციის მოცულობა კახეთიდან და სამეგრელოდან.

ემიგრანტების 83.8% ეროვნებით ქართველია, აზერბაიჯანელების წილი 5.9%, სომხების- 5%, ხოლო იეზიდების -1 %-ია . სხვა ეროვნებების წარმომადგენელთა წილი (რუსი, ოსი, ბერძენი, ქისტი, უკრაინელი, ქურთი და სხვა) კი 1%-ზე ნაკლებია. ემიგრანტების ასეთი განაწილება არსებითად შეესაბამება საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის პროპორციების, გარდა იეზიდების წილისა.

საქართველოდან წასული ემიგრანტების 90 % საქართველოს მოქალაქეა, 6% - სხვა ქვეყნის მოქალაქე, 3% კი - ორმაგი მოქალაქეობის სტატუსის მქონე და 1 %- მოქალაქეობის არმქონეა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, საქართველოში შობადობის დაბალი მაჩვენებლებისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული მიგრაციის გამო, ვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად 59000 ადამიანით მცირდება.

2.1 სამუშაო ძალის მიგრაცია და ადამინური კაპიტალი

ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, მისი ფორმირება არა მარტო ინდივიდუალური, არამედ სოციალური აქტივობაა. საკუთარ ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებით ადამიანები ზრდიან თავიანთი შემოსავლების პოტენციალს და ხელს უწყობენ პროდუქტიულობის ზრდას მთლიანად ეკონომიკაშიც. ადამიანური კაპიტალი მრავალწახნაგოვანი ცნებაა, თუმცა, მასში ხშირად გულისხმობენ ინდივიდთა განათლებას, უნარ-ჩვევებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, მისი ფორმირება, შესაბამისად, გულისხმობს პროცესს, რომლითაც რესურსები მიემართება ადამიანთა განათლების დონის ამაღლებასა და ჯანმრთელობის მდრომარეობის შენარჩუნება/გაუმჯობესებაზე.

გამოყოფენ რამდენიმე მექანიზმს, რომლებითაც ადამიანური კაპიტალის ფორმირება შეიძლება უკავშირდებოდეს მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებას. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციამ იმ ქვეყნებში, სადაც ინდივიდები თავიანთი განათლებისა და უნარ-ჩვევების სანაცვლოდ უფრო მაღალ უკუგებას იღებენ, ვიდრე საკუთარ სამშობლოში, შეიძლება წაახალისოს ინვესტიცია განათლებაში. აქედან გამომდინარე, ადამიანური კაპიტალის ფორმირების დონე გამგზავნ ქვეყანაში შესაძლოა დადებითად უკავშირდებოდეს ემიგრაციის შესაძლებლობებს.

ინტელექტის გადინება აფერხებს წარმოშობის ქვეყნების განვითარებას. თუმცა, ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების და კვალიფიკაციის წარმოშობის ქვეყნისკენ მიმართვა და ამ პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანი წამახალისებელი ძალა შეიძლება იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთსვის. ანალოგიურად, ქვეყანაში შემოსული უცხოელები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ადამიანურ, ინტელექტუალურ თუ ფინანსურ რესურსს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის. მსოფლიოს არაერთი იმიგრაციული ქვეყანა სწორედ იმიგრანტების რესურსის გამოყენებით ახერხებს შრომის ბაზრის და მზარდი ეკონომიკის მოთხოვნების

დაკმაყოფილებას. კვლევები აჩვენებს, რომ მიგრანტები, როგორც მიმღებ, ისე წარმოშობის ქვეყანაში უფრო მეტი ინიციატივით და მეწარმეობისადმი ინტერესით ხასიათდებიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა.[1] ამასთან, გამოკითხული დაბრუნებული მიგრანტების 19-20% თავად არის დამსაქმებელი ან თვითდასაქმებული.[2] უკანასკნელ წლებში, სხვადასხვა ორგანზიაციების მიერ განხორციელებულმა ქართული დიასპორის და ემიგრანტების კვლევებმა გარკვეული წარმოდგენა შექმნეს საქართველოდან ინტელექტის და ტალანტის გადინებაზე და ემიგრანტების უნარებსა და ინტეგრაციის საჭიროებებზე. თუმცა, აღნიშნული კვლევები მხოლოდ ფრაგმენტულ სურათს ქმნის. საქართველოდან ინტელექტის გადინება-შემოდინების შედარებით სრული სურათს გაანალიზების შესაძლებლობას შექმნის. ემიგრაციიდან დიასპორის უფრო საფუძვლიანი კვლევა.

ემიგრაციის შემდეგ მრავალი ქვეყნის გამოცდილება საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ფულადი გზავნილები ხშირად გვევლინება ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ერთ-ერთ წყაროდ. რიგ შემთხვევებში, მათი გამოყენება მოულოდნელი კრიზისის დადგომისას, ეხმარება მიმღებ შინამეურნეობებს, რომ შეინარჩუნონ ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების არსებული დონე. შესაძლოა ფულადი გზავნილები პოზიტიურ გავლენას ახდენს განათლებასა და ჯანმრთელობაზე, მაგრამ ასეთი ეფექტის არეალი ხშირად შემოიფარგლება მოსახლეობის სპეციფიკური ჯგუფებითა და შინამეურნეობების ცალკეული წევრებით. მიჩნეულია, რომ მოსახლეობის არასათანადო განათლება და კონკურენტული კვალიფიკაციისა თუ უნარების სიმწირე საქართველოში მაღალი უმუშევრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. ბავშვებისა და მოზარდების საგანმანათლებლო უნარების საერთაშორისო რეიტინგში ქვეყანა ხშირად ერთ-ერთ ბოლო საფეხურს იკავებს. არსებული კვლევები, რომლებიც გვიჩვენებენ კავშირს ფულად

[1]Organization for Economic Co-Operation and Development (2010) Entrepreneurship and Migrants, Report by the OECD working party on SMEs and Entrepreneurship;
[2]European Traning Foundation Migration and Skills in Georgia,results of the 2011/12 migration survey on the relationship between skills, migration and development;(2013), p40.

გზავნილებსა და ადამიანურ კაპიტალის განვითარებას შორის საქართველოში, ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა

2.3 ფულადი გზავნილები საქართველოში

საქართველოში ფულადი გზავნილების ძირითადი წყაროს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია, იტალია, საბერძნეთი, აშშ და ისრაელი.[1] 2018 წელს საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა 2017 წელთან შედარებით 190 მილიონი აშშ დოლარით არის გაზრდილი, 2019 წლის პირველი ხუთი თვის მაჩვენებლით ზრდის ტენდეცია 2019 წელშიც ნარჩუნდება. 2018 წელს ფულადი გზავნილების ჯამურმა რაოდნეობამ შეადგინა 1 579 667ათასი აშშ დოლარი. მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში ელექტრონულად განხორციელებული გადმორიცხვები მთლიანად შემოსული გზავილების დაახლოებით 60-70 პროცენტს შეადგენს.[2]

სქემა № 2.3



[1]საქართველოს ეროვნული ბანკი, გზავნილები ქვეყნების მიხედვით.
https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#analizuri
[2]The World Bank, Topics in Development-Migration, Remittances, Diaspora and Development.
http://www.worldbank.org/en/topic

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, გზავნილები ქვეყნების მიხედვით

სქემა № 2.4



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, გზავნილები ქვეყნების მიხედვით

ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი, როგორც წესი, არამწარმოებლურ მოხმარებაზე (პირველადი მოხმარების საქონელზე) იხარჯება. თუმცა ემიგრანტები და გზავნილის მიმღები ოჯახები ინვესტირებას უძრავ ქონებაში, განათლებასა და ჯანდაცვაში ახდენენ. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაში, ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. თუმცა საქართველოში ძალიან დაბალია ფულადი გზავნილების დაგროვების და სამეწარმეო საქმიანობაში ინვესტირების წილი.[1]შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების პოტენციალის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართვა და გზავნილების მიმღები პირების ფინანსურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

[1]European Traning Foundation Migration and Skills in Georgia, results of the 2011/12 migration survey on the relationship between skills, migration and developnet;(2013), p.38.

2.4 სამუშაო ძალის მიგრაცია და ქვეყნის განვითარება

სამუშაო ძალის მიგრაცია ქვეყნის განვითარებისთვის ხელშემწყობ პროცესად მისი ფართო ეკონომიკური და სოციალური ეფექტის გამო განიხილება. ე.წ განვითარების აგენტები შეიძლება იყვნენ, როგორც ქართველი ემიგრანტები და მათი წარმოშობის ქვეყანაში მყოფი ოჯახის წევრები, ისე იმიგრანტები, რომლებსაც მიმღებ ქვეყანაში ჩააქვთ საერთაშრისო გამოცდილება, უნარები და რიგ შემთხვევაში, ფინანსური კაპიტალი. მიგრანტების წარმოშობის ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკურ განვითარებაში დიდ როლს თამაშობს რეგულარული ფულადი გზავნილები, ემიგრანტების ინვესტიციები (პირდაპირი დიასპორული ინვესტიციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და პორტფოლიო ინვესტიციები) და ქველმოქმედება, მიმღებ და წარმოშობის ქვეყნებს შორის წახალისებული სავაჭრო და სხვა ურთიერთობები. დაბრუნებულ მიგრანტებს წარმოშობის ქვეყანაში ჩამოქავთ ახალი ცოდნა და უნარები, თანამედროვე ტექონოლიები და ღირებულებები, იდეები და ინოვაციები, რაც ფინანსურ კაპიტალზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მიგრაცია ახდენს გავლენას სოცილურ-ეკონომიკურ განვითარებაზე სხვადასხვა დონეზე (ეროვნული/რეგიონული) და სხვადასხვა სფეროში (კულტურა, განათლება ბიზნესი). მიგრაციის დადებით ეფექტების გამოყენებისთვის სპეციფიკური სახელმწიფო პროგრამების და პოლიტიკის შემუშავება სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ორგანიზაციები და ფორუმები, როგორიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის და განვითარების გლობალური ფორუმი, გაერო-ს გლობალური განვითარების დღის წესრიგი 2030 და სხვა, მოუწოდებენ და ეხმარებიან ქვეყნებს, რომ გაითვალისწინონ მიგრაციის პოტენციალი მიგრაციის თუ სხვა პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელებისას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ პირდაპირ არ საუბრობს მიგრაციის განვითრების პოტენციალზე, თუმცა მის ფუნდამენტურ ამოცანებს შორისაა ქვეყანაში ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გარდა, საინვესტიციო რესურვების მობილიზება და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება. ამ მიზნების მიღწევა კი, პირდაპირ კავშირშია ემიგრანტების და დიასპორის, ასევე იმიგრანტების და დაბრუნებული მიგრანტების ფინანსსური რესურსების მობილიზებასთან და ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ეკონომიკურ განვითარებაში ჩართვასთან. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მიგრაცია და განვითარების საკითხები ნაკლებად ფიგურირებს საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიასა და საქართველოს მთავრობის მიერ, სხვადასხვა წლებისთვის დამტკიცებულ, ცალკეული რეგიონების განვითარების სტრატეგიებში.

მიგრაციის პოტენციალის გამოყენება სხვადასხვა სექტორში და სხვადასხვა უწყებების მიერ კოორდინირებულ და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც გაამარტივებს კოორდინაციას, მათ შორის მუნიციპალიტეტებთან. საქართველოში მიგრაციის პოტენციალის საფუძვლიანი შეფასების და ეფექტიანი გამოყენებისთვის, მნიშვნელოვანია მიგრაციასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებული კავშირების და გავლენების შესწავლათა და კვლევების შედეგად მიღებული რეკომენდაციების მიზანშეწონილობის შემთხვევაში გათვალისწინება.

თავი 3: სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე

3.1 სამუშაო ძალის მიგრაცია და ეკონომიკური ზრდა

სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე სხვადასხვაგვარად აისახება. არსებობს დადებითი და უარყოფითი ეფექტებიც. მიგრაცია ეკონომიკური თვალსაზრისით მოქმედებს: დასაქმებაზე, უმუშებრობაზე, ეროვნულ პროდუქტზე, საგადამხდელო ბალანსზე, უცხოური ვალუტის შემოდინებაზე ქვეყანაში და სხვა ფაქტორებზე.

მიჩნეულია, რომ მოსახლეობის იმ ნაწილის ემიგრაცია, რომელსაც მაღალი განათლება და ადამიანური კაპიტალის სხვა მახასიათებლები აქვს, შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებლ ფაქტორად იქცეს. ეს პროცესი, რომელიც „ინტელექტის გადინებით“ არის ცნობილი, ხდება იმის გამო, რომ ქვეყანაში დარჩენილი დაბალკვალიფიციური მოსახლეობა ვერ ანაცვლებს მაღალკვალიფიციურ ემიგრანტებს თავისი მწარმოებლურობის დონით. არაკვალიფიციური მშრომელების ემიგრაცია კი ნაკლებად ახდენს გავლენას ეკონომიკის განვითარების ტემპზე. ხშირად არაკვალიფიციური კადრები ჭარბობს ქვეყანაში, შესაბამისად, მათი დაკარგვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს საწარმოო შესაძლებლობათა შემცირების თვალსაზრისით. ასეთი სახის ემიგრანტების პოზიტიური გავლენა ეკნომიკურ ზრდაზე შეიძლება მიმდინარეობდეს მათ კვალიფიკაციის ამაღლებიდან. არაკვალიფიციური მიგრანტები, რომლებიც სხვა ქვეყნიდან ბრუნდებიან, ხშირად იძენენ ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო უნარებსა და გამოცდილებას.

განვითარებადი ქვეყნებიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების- მათ შორის, ექიმების, ინჟინრებისა და სხვა პროფესიონალების- ემიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ შემთხვევაში, ადამიანურად კაპიტალის ფორმირებისათვის გაწეული ხარჯები გამგზავნ ქვეყნებში შეიძლება დაკარგულად ჩაითვალოს. ეკონომიკური ზრდის მოდელის მიხედვით, რომელიც ტექნოლოგიურ ცვლილებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, გამგზავნი ქვეყნების გრძელვადიანი

ეკონომიკური ზრდის ტემპი ემიგრაციის შედეგად კლებულობს. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ სხვა მრავალ ფაქტორს, ემიგრაციას შეიძლება არ ჰქონდეს გამოკვეთილი უარყოფით შედეგი.[1]

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ეხება ემიგრაციის უშუალო გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ ეკონომისტები ასევე განასხვავებენ ფულადი გზავნილების როლს ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდქტის ზრდაში. არსებული კველევები არ იძლევა საშუალებას, ზუსტად გავარკვიოთ ფულადი გზავნილების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს დადებით გავლენას, რაც ძირითადად განპირობებულია შინამეურნეობათა შემოსავლების ზრდით. ე.წ მულტიპლოკატორის ეფექტი ზრდის ერთობლივ მოთხოვნას ეკონომიკაში, რაც, საბოლოოდ, აისახება წარმეობის მოცულობაზე. ფულადი გზავნილების შემოდინება ასევე ეხმარება ქვეყანას უცხოური ვალუტის რეზერვთა შევსებაში, რაც აუცილებელია იმპორტირებული საქონლის შესაძენად, ეკონომისტები, რომელთა აზრითაც ფულადი გზავნილები არ ახდენს პოზიტიურ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, მიუთითებს, რომ ეს რესურსები ხშირად არააუცილებელ მოხმარებაზე იხარჯება და არ ბანდდება პროდუქტიულ ინვესტირებაში. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილები ეკონომიკური ზრდისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ნაკლებად განვითარებული საფინანსო სისტემის მქონე ქვეყნებში, რადგან დაფინანსების ეს მეთოდი გვევლინება ინვესტირებისა და ლიკვიდურობის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.

რაც შეეხება ღარიბებზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ზრდას, ფულადი გზავნილებს შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან შედარებით, იმის გამოს, რომ ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი იხარჯება პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და მომსახურებაზე. პირველადი მოხმარება იწვევს მულტიპლიკატორის ეფექტსაც იმ პროდუქტებზე, რომლებიც ადგილობრივად იწარმოება და, შესაბამისად, ხელს უწყობს მოსახლეობის ღარიბი ნაწილისთვის სასიკეთო ეკონომიკურ ზრდა. მაშინ,

[1]Michaella Vanore and Melissa Siegel, The Evolution of Gendered Migration Trajectories from moldova and Georgia, Comparative Migration Studies 3(1). 2015 p. 21.

როდესაც უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიედინება ისეთ სექტორებში, რომლებიც უშუალოდ გავლენას არ ახდენენ ყველაზე გაჭირვებული მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

სქემა № 3.1



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეკონომიკუ ზრდაზე ემიგრაციის ზუსტი გავლენის განსაზღვრა მეტად რთული ამოცანაა, ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია ორი სახის მტკიცებულების წარმოდგენა. პირველი ეს არის აღმოსავლეთ ევროპის სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული ანალიზი იყენებს გამოთვლადი გზავნილების წონასწორობის მოდელს. ამ კვლევის მიხედვით, ფულადი გზავნილების გავლენა ყველაზე მნიშვნელოვანია შინამეურნეობების

მოხმარებაზე, მაგრამ არ არის განმსაზღვრელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. მეორე სახის მტკიცებულება, კორელაციური ანალიზი კვარტალურ ფულად გზავნილებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მეტყველებს ამ ორი ცვლადის კავშირს რასაც აკრგად ასახავს სქემა №3.1 თუმცა, წარმოდგენილი ასოციასია სულაც არ ნიშნავს პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირების არსებობას ფულადი გზავნილების შემოდინებასა და ეკონომიკურ ზრდას შრის. ვინაიდან გულადი გზავნილები საქართველოში მეზობელი სახელმწიფოებიდან შემოედინება, სავარაუდოა, რომ როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე ფულადი გზავნილების საერთო მიზეზი რეგიონსა და მსოფლიოში არსებული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობაა.

3.2 სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენა ინფლაციასა და გაცვლით კურსზე

ძირითადი გზა, რითაც სამუშაო ძალის მიგრაცია შეილძება გავლენას ახდენდეს ქვეყანაში ფასების ზრდაზე, ემიგრანტთა ფულადი გზავნილებია. ვინაიდან ამ გზავნილების შემოდინება იწვევს დამატებით ეკონომიკურ აქტივობას, პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მოხმარების ზრდასთან ერთად, ვარაუდობენ, რომ ფულადი გზავნილები ხელს უწყობს ინფლაციურ პროცესებს, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერიოდში. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების ნაწილი ადასტურებს ინფლაციის და ფულადი გზავნილების დადებით კავშირს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მსგავსი ეფექტი საქართველოშიც შეინიშნება.

მიგრანტების მიერ გამოგზავნილმა ფულადმა ნაკადებმა შეიძლება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდაც გამოიწვიოს და ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზეც მოახდინოს გავლენა. სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა იწვევს ფასების მომატებას, მაგრამ ეს ეფექტი შეიძლება უმნიშვნელო იყოს, როცა ფულადი გზავნილების წილი შედარებით მცირეა მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში. ამასთან ცნობილია, რომ ქვეყანაში შემოსული გზავნილები უცხოურ ვალუტაშია მიმღებ შინამეურნეობებს მიღებული რესურსების გამოყენბისათვის ესაჭიროებათ გამოგავნილი ფულის, მაგალითად, ამერიკული დოლარი, ევროს, რუსული რუბლის თუ თურქული ლირის გადაცვლა ლარზე.

გაზრდილი მოთხოვნა ადგილობრივ ვალუტაზე იწვევს მისი ფასის ზრდას, ანუ გაცვლიი კურსის გამყარებას, რასაც შეიძლება ახლდეს ფულადი გზავნილების მსყიდველუნარიანობის შემცირება. იმ ქვეყნებში, სადაც მოხმარებული საქონლის დიდი ნაწილი იმპორტირებულია, ეროვნული ვალუტის გამყარებამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების შემცირება.

3.3 სამუშაო ძალის მიგრაცია, დასაქმება და უმუშევრობა

კავშირი სამუშაო ძალის მიგრაციასა და დასაქმების მაჩვენებლებს შორის არ არის ცალსახა. სამუშაო ძალის მიგრაციამ შეილება გაზარდოს ან შეამციროს უმუშევრობა, ქვეყნის სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ემიგრირებული მოსახლეობისა და მათი ფულადი გზავნილების თავისებურებებიდან გამომდინარე. მაგალთისთვის, მექსიკიდან ამერიკაში წასულ ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ცვლის სამუშაო ძალის მიწოდებას დასაქმების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ამცირებს ქალთა დასაქმებას ჩრდილოვან ეკონომიკაში.

სამუშაო ძალის მიგრაცია დასაქმების შედარებით მაღალი დონის ქვეყნებიდან მაგალითად, დასავლეთ ევროპიდან, სადაც უმუშევრობა, ჩვეულებრივ, დიდხანს არ გრძელდება- იწვევს დარჩენილ დასაქმებულთათვის სახელფასო განაკვეთის ზრდას. მთლიანობაში, სამუშაო ძალის ემიგრაციის შედეგად, ეკონომიკის გამომუშავება კლებულობს, თუმცა, დაბალკვალიფიციურმა მუშახელმა შეიძლება სარგებელი ნახოს აღნიშნული ცვლილებებით. ცხადია, საქართველო არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც უმუშევრობა დაბალია. განსხვავებული მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას, როდესაც მიგრანტებს მარტივად ანაცვლებს ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობა. ასეთი ვითარებაა იმ ქვეყნებშიც, სადაც, უმუშევრობა მაღალია დასებული მუშახელი არ არის სრულად დასაქმებული. განხილული ორივე შემთხვევა გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თუმცა, დაბალკვალიფიციური მუშახელის ემიგრაცია, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს ისეთი ქვეყნებიდან, სადაც ემიგრანტების ჩანაცვლება იოლია.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას, ემიგრაციასა და დასამქება/უმუშევრობას შორის ურთერთკავშირს, უმთავრესად, ფულადი გზავნილები განსაზღვრავს. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხები გამუდმებით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საქართველოში.

თუ შრომით ბაზარზე მაღალანაზღაურებადი სამსახურის მოძებნა ძნელია, ფულადი გზავნილები შეიძლება მოგვევლინოს ალტერნატიული შემოსავლის წყაროდ და, ასევე, მან შეიძლება გაზარდოს მიმღებთა შორის სასურველი ხელფასის ოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ინდივიდები უფრო ხანგრძლივად დაელოდებიან სასურველ და მაღალანაზღაურებად სამსახურს. ორივე დასახელებული მექანიზმი გულისხმობს უმუშევრობის დონის ზრდას. ქვეყანაში დარჩენილ ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებში. მეორე მხრივ, ამ გზავნილებმა აღნიშნულ შინამეურნეობებს შეიძლება გუადვილოს სამუშაოს მოძებნა საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის მხრივ და, ასევე, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების შედეგად.

ქვეყანაში, როდესაც არსებობს მაღალი მოთხოვნა მუშახელზე და მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მას,ჩნდება მიგრანტების საჭიროება,რომლებიც დააკმაყოფილებენ მიმღებ ქვეყნების შრომის ბაზარს.პროცესების ხელშემწყობ და მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი,რომ ემიგრანტების მშობლიურ ქვეყანაში შეინიშნება მუშახელის სიჭარბე და ამასთან უმუშევრობის მაღალი დონე.ადამიანები მოცემულ პირობებში ვერ ახერხებენ ოჯახების უზრუნველყოფას და ცდილობენ წავიდნენ იქ,სადაც სამუშაო ძალაზე მაღალი მოთხოვნაა და ანაზღაურებაა.აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ,რომ შრომითი მიგრაცია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და მიმღები ქვეყნების მოთხოვნის დაკმოყოფილებას,რომელსაც ავსებენ მიგრაციის ხარჯზე.

შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი მეტწილად არის უკეთესი სოციალური-ეკონომიკური ცხოვრების სურვილი,სწორედ შრომითი მიგრაციის დადებით მხარეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგია,რომელიც გამოიხატება იმ ფულად გზავნილებში,რომელსაც შრომითი მიგრანტები თავიანთ ოჯახებში გზავნიან, რომ არ ყოფილიყო შრომითი ემიგრაცია,ცხოვრების დონე საქართველოში გაცილებით გაუსაძლისი იქნებოდა.

დადებით მხარესთან ერთად შრომით მიგრაციას აქვს უამრავი უარყოფი მხარე:როდესაც ქვეყანაში არის მიგრაციის უარყოფითი სალდო და საქართველოს მაგალითს თუ განვიხილავთ უახლეს წარსულში შრომითი მიგრაციის უარყოფითი

სალდო აღინიშნება.უარყოფითი სალდო აუარესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას,შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, თითქოს მცირდება ქვეყნის მოსახლეობის უმუშევართა წილი,მაგრამ მეორე მხრივ,უარესდება შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ხარიხსი.

სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად, სახელმწიფო მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს ვალუტის სახით,ეს არის ემიგრანტთა გზავნილები,რომელთა გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შემდეგნარი სახის შეიძლება იყოს:შემოსავლების მიღება,წარმოების ხელშეწყობა,ასევე ცვლილებები აისახება სოფლის მეურენეობასა და შრომის ბაზარზე.მიგრანტების მიერ სამშობლოში გამოგზავნილი თანხით შესაძლებელია წარმოების საშუალებების,მიწებისა და უძარვი ქონების,ფასიანი ქაღალდების შეძენა ასევე გზავნილები იხარჯება მოხმარებაზე რის შედეგადაც იზრდება ადგილობრივი წარმოება და ჩნდება სამუშაო ადგილები, მაგრამ ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას უარყოფითი მხარეები.

შრომითი მიგრანტების გზავნილები ხშირ შემთხვევაში თავიანთი ოჯახების ერთადერთი შემოსავალია და საარსებო პირობებს გზავნილებით უზრუნველყოფენ,რაც ხელს უწყობს სიღარიბის დონის შემცირებას.

გამოკვლევებით დგინდება, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული მიგრანტები,უმეტეს შემთხვევაში დასაქმებულები არიან შრომის მეორად ბაზარზე,მიუხედავად მათი მაღალი კვალიფიკაციისა და განათლებისა. აღნიშნული ფაქტი ძალიან ცუდია ქვეყნისთვის,რადგან ხდება კვალიფიციური კადრების დონის დაქვეითება, მაგრამ მეორე მხარეც არსებობს. საქართველოს მაგალითზე უცხო ქვეყანაში წასული მიგრანტი ეუფლება უცხო ენას და საქართველოში დაბრუნებისასმას ეხმარება სამუშაოს დაწყებაში, ასეთი პრეცედენტების პროცენტული მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია.

მართალია, საქართველოს შრომის ბაზარი კარგავს შრომითი ემიგრაციის სახით უაღრესად მობილურ, მაღალი ხარისხის სამუშაო ძალას, მაგრამ იმავდროულად რადიკალურად მცირდება უმუშევართა რაოდენობა შიგა რეგიონულ ბაზარზე და

სწორედება ასიმეტრიული თანაფარდობა მიწოდება-მოთხოვნას შორის.მეორე მხრივ,ემიგრანტთა ფულადი გზავნილები სოციალური ვითარების თავისებური ამორტიზატორებია. იგი გარკვეულ როლს ასრულებს მცირე ბიზნესის განვითარებაში, საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში.[1]

მსოფლიო ბანკის მონაცემებით ფულადი გზავნილები მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 59[2] მლრდ აშშ დოლარს, რაც საერთაშორისო დახმარებების მოცულობაზე ბევრად მეტია. მიგრანტთა ფულადი ტრანსფერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომ ითვლება განვითარებადი ქვეყნებისთვის დაფინანსების მეორე წყაროდ.ისიც აღსანიშნავია, ეს გაანგარიშებები ყოველთვის ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას ფულადი გზავნილების რეალურ მოცულობაზე, რადგან, გადაგზავნები ხშირად არაოფიციალური არხებით ხდება.[3]

თუ რა გავლენა აქვს შრომით მიგრაციას ქვეყნის ეკონომიკაზე, ამის დასადგენად აუცილებელია ფულადი გზავნილების სიდიდის განსაზღვრა.უმრავლეს ქვეყნებში მიგრანტთა გადარიცხვების შესახებ ოფიციალური მონაცემების ძირითად წყაროს ყოველწლიური საგადამხდელო ბალანსი წარმაოდგენს.[4]

მიგრანტთა გზავნილები არ არის კაპიტალის მოძრაობის შემადგენელი ნაწილი ძირითადად ორი მიზეზი გამო: პირველ რიგში, მუშაკთა გზავნილები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ფინანსური ოპერაცია და აღინიშნება საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, მაშინ,როცა კაპიტალის მოძრაობა არის კაპიტალისა და ფინანსების ანგარიშის ნაწილი. მიმდინარე გზავნილები ითვლება მთლიანად ეროვნული პროდუქტის შემადგენლად, ხოლო კაპიტალის მოძრაობა მშპ-ის შემადგენლად და არის ფინანსირების

---

[1] *ტუხაშვილი მ.შელია მ.შრომითი ემიგაციის გავლენა საქართველოს დემოეკონომიკურ განვითარებაზე პოსტსაბჭოთა პერიოდი, გვ.2.*

[2] *worldbank,migration and remittances date,nobvember 2017.*

[3] ჭელიძე,ნ. (2007). *შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი: ლეგა, გვ.108.

[4] *БилсборроуР.Е., ХьюгоГ., ОберайА.С., ЗлотникХ. Статистикамеждународноймиграции. МБТ. Женева-Москва, 1999. 220 стр.*

წყარო. მეორე მხრივ, ქყვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა განიხილება, როგორც რეზიდენტების საგადამხდელო ბალანსის აქტივებისა და პასივებში თანაფარდობის ცვლილება არარეზიდენტებთან შეფარდებით. გზავნილების ნაკადი არ არის კაპიტალის იმპორტი სხვა ქვყეყნიდან, არამედ არის კაპიტალის გადაცემა საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მიერ სამშობლოში მცხოვრებთათვის ისე, რომ არწარმოიქნება არავითარი ვალები და საერთაშორსო ფინანსური მოთხოვნები. ამასთან, საგადამხდელო ბალანსის პოზიცია და სხვა მიმდინარე გზავნილები ყოველთვის არ გამოიყენება შრომით მიგრანტთა გზავნილების აღრიცხვისათვის, თუმცა რეალურად შეიცავს ასეთი სახის ტრანსფერებს.[1]

ისევე, როგორც ყველა მოვლენასა და პროცესს, შრომით მიგრაციასაც ახლავს დადებითი და უარყოფითი შედეგები. ამასთან, წარმოშობისა და მიმღები ქვეყნებისთვის ეს შეგები განსვავებულია.[2]

შრომითი მიგრაციის დადებითი შედეგები მიმღები ქვეყნისთვის შემდეგია:

- შრომით მიგრაციის ხარჯე სამუშაო ძალის დეფიციტის შევსებითა და საჭირო ადამიანური რესურსების მიღებით ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- საქონელსა და მომსახურებაზე უცხოური სამუშაო ძალის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ადგილობრივი წარმოების მოცულობის გაფართოება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება;
- მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება მათთვის ნაკლებად მიმზიდველ და ხშირად შრომის მძიმე პირობებთან დაკავშირებულ სფეროებში,

[1]ჭელიძე, ნ. *შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი: ლეგა(2007)გვ.10.

[2] OECD DE VELOPMENT CENTRE. EFFECTS OF MIGRATION ON SENDING COUNTRIES: WHAT WE KNOW? By Louka T. Katseli, Robers E.B Lucas and Theodora Xenogiani Reaserch programme on: Economic and Social Effects of Migration on Sending Countries. June 2006

დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე, შრომითი მიგრანტების დასაქმებითა და საჭირო სერვისის/პროდუქციის მიღების გზით;

- ადგილობრივის სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფა იმ თვალსაზრისით, რომ უცხოური სამუშაო ძალის მიერ არაკვალიფიციური და დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილების დაკავებით, მათ ეძლევათ მეტი შესაძლებლობა იზრუნონ თავიანთი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და კარიერულ განვითარებაზე.
- წარმოშობის ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის შემთხვევაში, ეკონომიკას აქვს მეტი შესაძლებლობა მიიღოს მოგება, რადგან მიმღები ქვეყანა იყენებს უკვე მომზადებულ კადრებს, არ უწევს ახალ კადრებზე სახსრების გამოყოფა, მათი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის;
- შრომითი მიგრანტების სახით იაფი სამუშაო ძალის გამოყენება გარკვეულწილად ეხმარება მიმღებ ქვეყნებს გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები და მიმზიდველი ინვესტორებისთვის;
- მიგრაცია ხელს უწყობს დემოგრაფიული პრობლემების შერბილებას იმ თვალსაზრისით, რომ შრომით მიგრანტთა აბსოლიტური უმრავლესობა არის ახალგზარდა ასაკის, რაც შეიძლება შობადობის ზრდისფაქტორი გახდეს. გარდა ამისა ეს ფაქტორი ამცირებს ქვეყანაში დემოგრაფიული დაბერების ხარისხს და ზრდის შრომისუნარიანთა წილს ქვეყნის მოსახლეობაში;
    - ეკონომიკური განვითარების მაჩველებლების გაუმჯობესება, შრომითი მიგრანტების საჭიროების დასაკმაყოფილებლად ერთობლივი მოთხოვნის ზრდის და მათ მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე;

დადებით შედეგებთან ერთად ბუნებრივია მიგრაიცას მიმღების ქვეყნისთვის რიგი პრობლემებიც ახლავს.

შესაძლო უარყოფითი შეგებად შეიძლება მივჩნიოთ შემდეგი:

- მიგრანტთა მასობრივი შემოდინების შემთხვევაში, შრომის შიდა ბაზარზე დასაქმების სფეროში კონკურენციის გაზრდა, ადგილობრივი სამუშაო ძალისათვის სამუშაო ადგილების შემცირება და უმუშევრობის ზრდა;
- იაფი სამუშაო ძალის შემოდინების გამო, დემპინგი შრომის ბაზარზე, რაც ადგილობრივი სამუშაო ძალის ხელფასის შემცირებასაც განაპირობებს;
- მიგრაციასთან დაკავშირებული საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პრობლემების გართულება, აღნიშნული ჯგუფის საქონელზე ერთობლივი მოთხოვნის ზრდის გამო ფასების მატება;
- მიგრანტთა ინტეგრაციის მხარდამჭერ პროგრამებზე მაგალითად, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება, თავშესაფრის და სხვა სოციალური დახმარებების უზრუნველყოფაზე გაწეულ დახმარებებზე დამატებითი დანახარჯების ზრდა;
- მიგრანტთა იაფი სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობების გამო შრომადამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის მოტივაციის შენელება და ამის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის შემცირება;
- მიგრანტთა ფულადი გზავნილების სახით ქვეყნიდან ფულადი მასის გადინება, რაც ამცირებს სავალუტო რესურსებს და კაპიტალის ინვესტირების შესაძლებლობებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში;
- მაღალი სოციალური რისკის ჯგუფების წარმომადგენელთა იმიგრაციის შემთხვევაში მიმღებ ქვეყანაში მათზე დანახარჯების მატება;
- ადგილობრივი მოსახლეობისა და მიგრანტებს შორის ეკონომიკურ, ეთნიკური თუ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებების ზრდა;
- მიმღები ქვეყნის კულტურასთან და გარემოსთან მიგრანტების დაბალი ადაპტაციის შემთხვევაში, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის დაძაბვის, ქვეყნის უსაფრთხოების რისკების მატება.

როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომასა და სოციალურ მდგომარეობაზე ახდენს შრომითი მიგრაცია გავლენას ასევე წარმოშობის ქვეყნისთვისაც შრომით მიგრაციას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები:

მიმწოდებელი ქვეყნისთვის შრომითი მიგრაციის დადებითი შედეგები შემდეგია:

- ქვეყანაში უმუშევრობის და არასრული დასაქმების მასშტაბების შემცირება;
- შრომითი ემიგრანტების ფულადი გზავნილების ხარჯზე სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ზრდა, სიღარიბის შემცირება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება;
- შრომითი ემიგრანტების ფულადი სახსრების ინვესტირებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ეროვნული ვალუტის პოზიციის გაძლიერება, სავალურო რეზერვების სტაბილურობის ხელშეწყობა;
- მიგრანტთა დაბრუნების შემთხვევაში, მათ მიერ უცხოეთში მუშაობისას დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის, ახალი საწარმოო და ორგანიზაციული უნარების იმპორტი სამშობლოში და ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის გაზრდა;
- სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად საჭირო სასტარტო კაპიტალის დაგროვება და ამ გზით წარმომშობ ქვეყანაში საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირების მხარდაჭერა;
- მიმღებ და წარმოშობის ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების დამყარების, ერთობლივი საწარმოების დაფუძნების მეტი შესაძლებლობის არსებობა.

წარმომშობი ქვეყნისათვის შრომითი მიგრაციის უარყოფიღი შედეგებიდან აღსანიშნავია :

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლების რაოდნეობის კლების შედეგად ქვეყნის შრომითი პოტენციალის შემცირება;
- არალეგალური შრომითი მიგრაციის შემთხვევაში, სამუშაო ძალის მიწოდების გამო, მიგრანტების პოტენციალის გამოუყენებლობა და მათი ადამიანური კაპიტალის გაუფასურება;

- მაღალკვალიფიციური კადრების გადინების შემთხვევაში, ქვეყნის სამუშაო ძალის ხარისხობრივი გაუარესება, ეკონომიკის მთელ რიგ სფეროებში საჭირო კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა, ახალი კადრების მომზადებაზე დანახარჯების ზრდა;
- ფულადი გზავნილების დიდი რაოდენობის შემოდინების შემთხვევაში, ინფლაციის ზრდა და გარკვეული ჯგუფის საქონელზე, უმეტესად ბინებზე მანქანებზე და სხვ. ფასების მატება;
- დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება (შობადობის შემცირება, დემოგრაფიული დაბერება) ;
- ხანგრძლივ ემიგრაცისთან დაკავშირებით რისკების გამწვავება (ეროვნული ფასეულობების და იდენტიფიკაციის დაკარგვა, თანდათან შემცირება ფულადი გზავნილების, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რეინტეგრაციის გართულება, მიმღებ ქვეყანაშ სამუდამოდ დარჩენის დიდი ალბათობა);
- ფსიქოლოგიურ და სოციალური რისკების ზრდა (გაუცხოება ოჯახის წევრებთან, ღირებულებათა და ფასეულობების შეცვლა, წარმომშობ ქვეყანაში დარჩენილი ოჯახის წევრების დასაქმების მოტივაციის შემცირება, ემიგრანტთა კმაყოფის ხარჯზე).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი მიგრაციის შედეგების შეფასებისას გასათვალისწინებელია, მიგრაციის პროცესებიდან მიღებული სარგებელი და დანაკარგის კარგად გაანალიზება და შედეგების ნათლად დანახვა. სხვა შემთხვევაში, შეფასებები იქნება არასრულყოფილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი და უარყოფითი შედეგები სხვადასხვა ქვეყნისთვის სხვადასხვაა და დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, მიგრაციული ნაკადების სიდიდეზე, განაწილების გეოგრაფიაზე, მიგრანტთა დასაქმების თავისებურებებზე და ა.შ.

როცა შრომითი მიგრანტი ტოვებს თავის ქვეყანას, უდიდეს რისკს ეწევა, მაგრამ გამართლების შემთხვევაში მოგებული რჩება არა ამრტო მისი ოჯახი, არამედ სახელმწიფო და მსოფლიო საზოგადოებაც. სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად სახელმწიფოები

იღებენ მნიშვნელოვან შემოსავალს ვალუტის სახით. იგი გამოიხატება ემიგრანტთა გზავნილების ფორმით.

ქვეყნის ეკონომიკაზე გზავნილების გავლენა შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: შემოსავლის მიღება, წარმოების ხელშეწყობა, შესაძლო ინფლაცია, რისკების ზრდა; მას ცვლილებები შეაქვს სოციალურ-დემოგრადიულ სტრუქტურაში, შრომის ბაზარსა და სოფლის მეურნეობაში, არის პოტენციური განვითარების წყარო და ა.შ.

სამუშაო ძალის ექსპორტისგან სახელმწიფო სავალუტო შემოსავლების პირდაპირ წყაროებს მიეკუთვნება: 1. გადასახადები საშუამავლო ფირმების შემოსავლებიდან; 2. გადასახადების მიგრანტთა უშუალო გზავნილებზე; 3. მიგრანტების პირადი ინვესტირება (სამშობლოში ჩამოტანილი წარმოების საშუალებები და უძრავი ქონება, მიწისა დ აუძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდის შეძენა); 4. სამუშაო ძალის რესურსების აღწარმოებაზე, სოციალურ დაცვაზე; 5. გარდა ამისა, გამოკვლევებით დადგენილია, რომ მიგრანტებს სამსობლოში დაბრუნებისას მოაქვთ დაახლოებით იმ თანხის ტოლი ფასეულობები და დანაზოგები, რომელიც მათ მიერაა განხორხციელებული გზავნილების სახით. შესაბამისად, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეტნის ეროვნულ შემოსავალში გზავნილების თანხა ორმაგდება.[1]

ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებს წამროადგენს: ეკონომიკური ზრდა, დასაქმება და უმუშევრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საგარეო სავაჭრო ბრუნვა.

გზავნილები გავლენას ახდენს დონორი ქვეყნის განვითარებაზე. გზავნილები ოხარჯება ბავშბეის განათლებისთვის, მაღალხარისხოვანი და საფუძვლიანი მკურნალობითვის, უძრავი ქონების შესაძენად, ოჯახის სტატუსის ამაღლებაზე, სხვადსხვა მშენებლობებზე, ვალების გადასახდელად, პროდუქციის შესაძენად- ემიგრანტის ოჯახი იძენს სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციას, იზრდება აღნიშნულის ადგილობრივი წარმოება, ჩნდება სამუშაო ადგილები. თმცა გზავნილები დიდ სამრეწველო პროექტებში ძლაზე

[1] Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. "Demoscop Weekly", №207-208, 2005. www.demoscope.ru

იშვიათად იხარჯება და ისიც მცირე წილით. გზარდილი მოხმარების ნეგატიური მხარე ის არის, რომ მან შეიძლება ინფლაციას შეუწყოს ხელი.

გზავნილები ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. მათზე დამოკიდებული ქვეყნები შეიძლება ეკონომიკური შოკის ქვეშ აღმოჩნდნენ. ასეთ სიტუაციაშ აღმოჩნდნენ იორდანია და იემენი, როდესაც სპარსეთის ყურეში ომი დაიწყო და მიგრნატი მუშები გააძევეს.

დონორ ქვეყანაში ემიგრაცია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, თუმცა ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე, ემიგრაციაში დონორი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილებოს და უმუშევრობის პრობლემას ამით ვერ გადაწყვეტს, ამასთან, მუშახელის ნაკლებობამ შეიძლება ხელფასების ინფლაცია გამოიწვიოს. გარკვეულ სექტორში შეიძლება შემცირდეს უმუშევრობა, მაგრამ ზოგიერთი სფერო ისევ ისე შევსებულია. დამქირავებლები უპირატესობას იმას ანიჭებენ, ვინც უკვე მუშაობს, რადგან თავიდან აიცილონ ახლაი მუშახელის მომზადება. მათ ურჩევნიათ, კაპიტალი უფრო მეტას ტექნოლოგიებში დააბანდონ და წარმოება ამ გზით განავითარონ.

დონორი ქვეყნებისთვის მეტად სავალალოა ინტელექტულაური სამუშოა ძალის გადინება, დღეს მსოფლიოს შრომის ბაზრის უდიდესი ცენტრები იზიდავენ უმეტესად უკვე კვალიფიცირებულ, უმაღლესი ტექნოლოგიების სპეცილაისტებს. ისევე, როგორც სავაჭრო ბარიერების შემოღებისას, იმიგრაციული შეზღუდვების შედეგად მსოფლიოს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩაკეტილი რჩება. გამგზავნი ქვეყანა კი კარგავს ყველაზე ენთუზიასტ და უნარიან ახალგაზრდობას, მათ პროფესიულ მომზადებასა და განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს.

ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორიის მიმდევრები საერთაშორისო შრომით მიგრაციას ხსნიან ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეების სხვაობით, კერძოდ, შრომის ანაზღაურებაში განსხვავებით. ბუნებრივია, სამუშაო ძალა მიემართება იქ, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურებაა. ამითაც ვლინდება საერთაშორისო შრომის ბაზრის თვითრეგულირებადი სახიათი. ეკონომიკის აღმავლობისა და ემიგრაციის გაძლიერების

კვალდაკვალ ხელფასის დონეების შორის განსხვავებაც მცირდება და საემიგრაციო სტიმულიც იკლებს. მუშახელის ექსპორტიორი ქვეყანა შეიძლება იმპორტიორადაც გადაიქცეს. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია გულისხმობს, რომ მიმღები და დონორი ქვეყნების შრომითი რესურსები აბსოლუტურად იდენტურია და ორივე ქვეყანაში მიგრაციის პროცესში ნარჩუნდება სრული დასაქმება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, რეალობას არ შეესაბამება.

მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია ეყრდნობა მიკროეკონომიკურ ფუნქციონალურ ანალიზს. მიგრაციაზე გადაწყვეტილება მიიღება არა ცალკეული ინდივიდების, არამედ კოლექტიურად, ოჯახის წევრების მიერ. მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქციმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის არასაკმარისად განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია. ამ რისკების გადალახვა შეიძლება უფრო მეტი სტიმული იყოს ოჯახისთვის, ვიდრე ხელფასებს შორის სხვაობა. ამ თეორიის მიმდევრები ცდილობენ ახსნან მიგრაციის პროცესი მაკროდონეზე და ხაზს უსვამენ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის შედეგად ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. დონორ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობამ შეილება არა იმდენად მუხრუჭის როლი შეასრულოს, რამდენადაც სტიმულისა, რადგან იგი თავის თავში მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებისტვის დამატებით დაინტერესებას.

ღია ეკონომიკის თეორიული მოდელი გულისხმობს, რომ საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ ბევრ მუშახელს, უნდა განთავსდეს განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალტევადი და მარალტექნოლოგიური საწარმოები. ეს შეასუსტებს შრომითი რესურსების გადაადგილების აუცილებლობას. მაგრამ რეალურად სხვა სურათი მივიღეთ: განვითარებად ქვეყნებშუ ინფრასტრუქტურის არარსებობამ მიგრაციული ნაკადები მისგან ვერ შეამცირა, პირიქით, ევროპასა და აშშ-ში იმიგრანტებმა თანდათან გამოდევნეს დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგიელბიდან ეროვნული მუშახელი, მაღალტექნოლოგიური წარმოება კი კვალიფიციურ მუშაკთა სიიაფის გამო მესამე სამყაროშ გადავიდა. ხელფასში განხვავების ფაქტორის შესწავლისას

პიტერ სტალკერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრების დონისა და შრომის პირობების გათანაბრების ტენდენცია, რომელი ამერიკისა და ევროპის მაგალითზე შეინიშნება, განვითარებადი ქვეყნებისთვის მიუღებელია. მესამე სამყაროდან მასობრივი ემიგრაცია ჯერ ვერ გვაძლევს ვერც უმუშევრობის დონის შემცირების, ვერც შემოსავლების გატანაბრებისა და ვერც რეალური ეკონომიკური ზრდის იმედს, რადგან ფულადი გზავნილები ინდივიდთა ხელიდან ხელში გადადის და ძრითადად იხარჯება ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

სტალკერი აყალიბებს თანამედროვე მიგრაციის მოდელს, რომელიც ეკონომიკურ ფაქტორზეა აგებული: ა) ყველა ინდივიდი ცდილობს ემიგრირებიდან მიიღოს სარგებელი; ბ)ოჯახი მიისწრაფვის არასტაბულურ მსოფლიოში ცხოვრების რისკი შეამციროს ოჯახის შრომისუნარიანი წევრის საშოვარზე გაგზავნით; გ) ხდება შრომის ახლებური საერთაშორისო დანაწილება - იმიგრანტების წილად ხვდათ დაბალანაზღაურებადი, არასტაბილური, არაპრესტიჟული სამუშაო ადგილები.

თავი: 4 სამუშაო ძალის ემიგრაციის რეგიონალური თავისებურებანი აბაშის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

მიგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხია ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, სწორედ, ამიტომ გადავწყვიტეთ კვლევა ჩაგვეტარებინა მეტად მნიშვნელოვან, მწვავე თემაზე და გამოგვევლინა ის ფაქტორები და 0შედეგები, რომლებიც გავლენას ახდენენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

სხვადასხვა წყაროებზე და გამოკითხვებზე დაყრდნობით, შევისწავლე მიგრაციასთან დაკავშირებული მაკრო და მიკრო საკითხები, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავდა კონკრეტულ რეგიონის (სამეგრელო-ზემო სვანეთი) ერთ-ერთი მუნიციპალიტეტს, აბაშას. აქ მეტად ინტენსიურია მიგრაცია დიდია სოფლებიდან და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე კვლევა ჩამეტარებინა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლებში: მაიდანში, სამიქაოში, გულიხეთში, გეზათში, სეფიეთში და წყემში. ამ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 107 ემიგრანტის ოჯახი, რომლიდან ისახება საერთო სურათი ამ რეგინოში ემიგრაციის გავლენასა და მიგრაციის სოციალური-ეკონომიკურ შედეგებზე. კვლევის დაწყებამდე შევისწავლე ზოგადად მიგრაციული ვითარება და ამის საფუძველზე შევადგინე შესაბამისი კითხვარი. გამოვიყენე თსუს-ს მიგრაციის ცენტრში არსებული კითხვარი და მოვარგე აბაშის რეგიონის თავისებურებებს. კვლევიდან დასტურდება, რომ საქართველოდან ემიგრაციაში წასული ადამიანების ძირითადი მიზანი, საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ბევრ რესპოდენტი აღნიშნავდა , რომ საჭმლის ფული არ ჰქონდათ, ბავშვებ შიმშილობდნენ და ამ ყველაფერს ასე მარტივად ვერ უყურებდნენ, აიღეს ვალი და წავიდნენ თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. დღეს ამ ხალხის უმრავლესობა უკეთ ცხოვრობს და მათ მიერ გამოგზავნილი თანხები მათ ოჯახებს პირველად მოთხოვნილებებს უკმაყოფილებს. კვლევის დროს გამოიკვეთა ის კონტიგენტი, რომლებიც წავიდნენ არალეგალურად და მიმღები ქვეყნებიდან დეპორტირდნენ,0ამ ადამიანთა უმრავლესობა დღესაც ისტუმრებს ვალებს, რომელიც წასვლისას დახარჯეს. გამოკითხულთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ იქ მათიოჯახის წევრები მძიმე სამუშაოს ასრულებენ. გამოკვლევა აჩვენებს, რომ ძირითადად ემიგრაციაში მიდიან ქალბატონები და უმეტესად

მათი სამუშაო არის სახლების დალაგება ან მოხუცის მოვლა, მამაკაცთა უმრავლესობა კი მშენებლობაზე მუშაობს.

ასევე კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თუ რა ასაკში მიდიან ადამიანები ემიგრაციაში. კვლევამ აჩვენა, რომ 10-16 წლამდე ასაკის ემიგრანტთა რაოდენობა არის 2.1%, ეს ის ბავშვებია, რომლებიც მშობლებთან ერთად არიან წასული ემიგრაციაში. ეს ის პერიოდია, როდესაც ოჯახი იქმნება, ახალშექმნილი ოჯახი არის დამატებითი საზრუნავი, პასუხისმგებლობა და ა.შ. ამ ყველაფერს ალღოს აღება და გამკლავება სჭირდება, ბევრი მათგანი ამ ყველაფერს ვერ ართმევს თავს და იღებს დიდ ვალს, საბოლოო ჯამში ოჯახი იღებს გადაწყვეტილებას ვალების დასაფარად წავიდეს ემიგრაციაში, იქ გარკვეულ პერიოდს, ძირითადად, არალეგალურად ატარებს, ხოლო რომ გაიწაფება, გაერკვევა ყველაფერში შემდეგ აკეთებს ლეგალური სამუშაოს უფლების მისაღებ საბუთს, ამის შემდეგ ხდება ოჯახის წევრების მიწვევა, წაყვანა იმ ქვეყანაში მათ შორის ბავშვებისაც. ასევე გამოკითხულთა შორის არის 16-25 წლადმდე ასაკი ემიგრანტები 12%, ამ შემთხვევაში ადამიანი უფრო ზრდასრულია და მშობელს სურს შვილის განათლებაზე იზრუნოს საზღვარგარეთ ან კიდევ ამ ასაკში შესწევს ადამიანს შეასრულოს სრულყოფილად სამუშაო და მშობელს იგი მიყავს დამატებითი თანხის გამოსამუშვებლად. 26-40 წლამდე ასაკის ემიგრანტების რაოდენობა არის 34.5% ეს ის შემთხვევაა, როდესაც მშობლები მიდიან სამუშაოდ, რათა იქ ნაშოვნი ფულით აქ ოჯახი არჩინონ და მათი შვილები არ იყვნენ გაჭირვებაში. ყველაზე დიდი რაოდენობა, 37,4% მოდის 40-60 წლის ადამიანებზე. ეს ის პერიოდია, როდესაც აქვთ დიდი ოჯახი, და დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რათა შვილებმა კარგი განათლება უნდა მიიღონ, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ადამიანს, რომ არ აქვს შესაბამისი შემოსავალი ცდილობს წავიდეს ემიგრაციაში და იქ ნაშოვნი ფულით არჩინონ ოჯახი. კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ 40-60 წლის წასულ ადამიანთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მისი შვილი დაოჯახდა და არ აქვს მეუღლის, შვილების რჩენის საშუალება და მშობელს უწევს არჩინოს რძალი, სიძე თუ შვილიშვილი, ანუ ორი ოჯახის რჩენა უწევს. ასევე არსებობს 60 წელზე უფროსი ემიგრანტებიც, რომელთა რაოდენობამ შეადგინა 14%,

ეს ის ადამიანებია, რომლებიც თავიანთმა შვილებმა, რომლებიც დამკვიდრდნენ უცხოეთში, წაიყვანეს თავისთან მშობლები, რათა მიეღოთ იმ ქვეყნის პენისია, დაზღვევა და მათი სიბერის წლები ყოფილიყო უფრო ხალისიანი და ხანგრძლივი.

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ემიგრაციაში მყოფი ადამიანთა უმრავლესობა აქტიური შრომისუნარიანია 26-დან 60-წლამდე. თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს დიაგრამა, სადაც ნათლად ჩანს ემიგრანტთა განაწილება ასაკობრივი შუალედების მიხედვით.

სქემა № 4.1

ემიგრანტთა განაწილება ასაკობრივი შუალედების მიხედვით



კვლევამ აჩვენა, რომ ემიგრაციაში წასულთა 38.3% შეადგენს მამაკაცია, ხოლო 61,7% ქალი .

ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით მამაკაცები წასულები არიან: პოლონეთში, უკრაინაში, აშშ. რაც მათი სამუშაო შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს, ისინი

ძირითადად მძიმე სამუშაოს ასრულებენ. ამ ქვეყნებში შესაბამისად დიდია მოთხოვნა მამაკაცების სამუშო ძალაზე. ყველაზე დიდი რაოდენობით ემიგრანტი ქალები გამოვლინდნენ აშში, ისრაელში და თურქეთში. აშში და ისრაელში წასული ქალები ძირითადად ორი სახის სამუშოს ასრულებენ: ეს არის მოხუცის მოვლა და სახლების დალაგება. თურქეთში კი ძირითადად მოხუცის მოვლა. ამ ქვეყნებს ემიგრაციისთვის ირჩევენ იმიტომ, რომ ამერიკაში და ისრაელში ანაზღაურება მოხუცის, მოვლაში თვეში 3000-5000 დოლარია. ანაზღაურება საკმაოდ მაღალია მაგრამ ოჯახებთან დაბრუნება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხდება. თურქეთის შემთხვევაში იგივე სამუშაოში ჩვენი ემიგრანტებია 500-800დოლარს იღებენ, თუმცა ტერიტორიული სიახლის გამო ოჯახთან ხშირი მიმოსვლის საშუალება ეძლევათ და მთლიანად არ არიან მოწყვეტილი ახლობლებს. ამის გამო თანხმდებიან სხვა ქვეყნებთან შედარებით შედარებით დაბალ ანაზღაურებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია დაოჯახების თემა რაც უფრო ნათელს ხდის, ზრდის ემიგრაციაში წასული ადამიანების რაოდენობას. ემიგრანტთა ოჯახური მდგომარეობის სურათი შემდეგია: ემიგრანტებს შორის არის 18 დასაოჯახებელი, რაც 16,8% საერთო რაოდენობის, 7 დაოჯახებული რომლებსაც არ ყავთ შვილები, ყველაზე მეტი და ბუნებრივიცაა 59,9% 64 ადამიანი არის დაოჯახებული შვილებით, 6 ადამიანი 5,6% არის ქვრივი, 8 ემიგრანტი რაც 7,5% არის განქორწინებული, ხოლო რაც შეეხება მარტოხელა დედას საერთო როადნეობის მხოლოდ 3,7% 4 ადამიანი ემიგრანტებისა არის მარტოხელა დედა.

სქემა №4.2



მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ ემიგრანტთა უმრავლესობა 59,9% არის დაოჯახებული და ჰყავთ შვილები. გაზრდილმა ოჯახურმა დანახარჯებმა ადამიანი მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ოჯახის უკეთესი მომავლისათვის წასულიყვნენ ემიგრაციაში.

მნიშვნელოვანი საკითხია განათლების დონე ემიგრანტებში, კვლევამ გვიჩვენა, რომ ემიგრანტებს შორის ჭარბობს საშუალო განათლება - 46 %. მაღალი განათლების მქონე ადამიანი აქ ვერ პოულობს შესაბამისი შემოსავლის მქონე სამსახურს და მას უფრო მეტად შეუძლია არჩინოს საკუთარი ოჯახი, ვიდრე საშუალო განათლების მქონემ.

ემიგრაციაში წასული სტუდენტთა (დაუმტავრებელი უმარლესი განათლება) როადნეობამ შეადგინა 5,6%, ეს ის სტუდენტებია, რომლებმაც ვერ იპოვეს საკუთარი

განათლების დონის შესაბამისი სამსახური ან შესაბამისი ანაზღაურება არ ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში.

საინტერესოა ის ფაქტიც რომ თითქმის მეოთხედი, 25,2% არის პროფესიული განათლების მქონე ემიგრანტი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში უფასოდ, ან იაფად მიიღო პროფესიული განათლება და შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ, მაგალითად ადამიანები, რომლებმაც ისწავლეს დურგლობა, დღეს კანადაში ავეჯს აწყობენ და დღიურად 150-200$ იღებენ.

ასევე ემიგრანტთა 23% უმაღლესი განათლების მქონეა, აქ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც უმაღლესი განათლება უცხოეთსი მიიღეს და ფიქრობენ, რომ შესაბამისი დონის ან ანაზღაურების მქონე სამსახური არ იქნება მათთვის საქართველოში, ან ადაპტირდნენ სხვა ქვეყანის გარემოში, სადაც 2-4 წელი გაატარეს.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ემიგრანტთა თითქმის ნახევარი პროფესიის მქონდე ადამიანები არიან და სავარაუდოა, რომ საქართველომ მათი სახით დაკარგა კვალიფიციური კადრები, რადგან მათ შესაფერისი სამუშაო თავიანთ ქვეყანაში, საქართველოში, ვერ იპოვეს.

სქემა №4.3

შრომით ემიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



კითხვარის შემდეგი კითხვა იყო თუ რა პროფესიის არიან ემიგრაციაში წასულები, პასუხები საკმაოდ სიანტერესო და მრავალფეროვანი მივიღეთ, მოსალოდნელი იყო ის რომ ემიგრაციაში წულთა დიდი წილს 44% არ აქვს კონკრეტული პროფესია, ემიგრაციაში წასულთა 6% არის იურისტი, 12% მასწავლებელი, 6% ეკონომისტი, 5% ხელოსანი, რომლებიც ემიგრაციაში პროფესიით მუშაოებენ, საინტერესოა ისიც რომ 4.2 % გამოკითხულთაგან 4 ემიგრანტი არის დიზაინერი, 2 მათგანი ემიგრაციაში დასაქმებული არის თავიანთი პროფესიით და საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ, დარჩენილი 23% ჩამოთვლილ პროფესიათაგან არცერთი პროფესიისები არ იყვნენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არც თუ ისე მცირე რაოდენობა არის პროფესიის მქონდე ემიგრანტი რომელთაც შეეძლოთ, თავიანთ სამშობლოში ემუშავათ და ქვეყნს განვითარებაში შეეტანათ წვლილი, მაგრამ ისინი იძულებულნი გახდნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ.

კითხვაზე თუ რა პროფესიის არიან ემიგრაციაში წასული ემიგრანტები პახუსები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა: უმეტესობას 44% არ აქვს ოფიციალური ფროფესია, 23,4 %ემიგრანტის პროფესია ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პროფესიებისგან განსხვავებული იყო, მაგალითად, ემიგრანტთა შორის იყვნენ: მზარეული, ფარმაცევტი, ექრთანი, მძღოლი და ა.შ.

ემიგრაციაში წასვლამდე: ემიგრანტთა 19% მუშაობდა დაბალკალიფიციურ სამუშაოზე, 12% მუშაობდა პროფესიის შესაფერის სამუშაოზე, მაგრამ მათი ანაზღაურება არ იყო შესაფერისი, ემიგრანტთა დიდი ნაწილი 46% იყვნენ დიასახლისები, 8% სწავლობდა და 16 % იყო სამსახურის გარეშე. იხ. სქემა №4.4

სქემა №4.4

შრომით ემიგრანტთა განაწილება პროფესიების მიხედვით



კითხვარის შემდეგი კითხვა იყო თუ სად მუშაობდა ემიგრანტი ემიგრაციაში წასვლამდე, რაზეც შემდეგი პასუხები მივიღეთ, 45% ემიგრაციაში წასლვამდე არ მუშაობდა და იყო დიასახლისი რაც ემიგრანტ ქალთა 73 პროცენტია დაახლოებით, ანუ ემიგრაიცაში მყოფი ქალების უმრავლესობა ემიგრაციაში წასვლამდე იყო დიასახლისი. 19% მუშაობდა

დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე, შრომის ანაზღაურების სიმცირემ გადააწყვეტინათ ქვეყნის დატოვება, 12% მუშაობდა პროფესიის შესაბამის სამუშაოზე, ალბათ გვიჩნდება კითხვა თუ რატომ მიიღეს მიგრირების გადაყწვეტილება, ეს კითხვა ჩვენც გაგვიჩნდა და ინტერვიუების დროს დავუსვით რესპოდენტებს პასუხი კი იყო შემდეგი. წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს უცხოეთში აქაურთან შედარებით დიდი ანაზრაურების გამო. ემიგრანტთა 8% სწავლობდა საზღვარგარეთ წასვლამდე ეს ის სტუდენტებია, რომლებიც ძირითადად გერმანიაში არიან წასულები პროგრამა „au-pair"-ით. ისინი სამუშაოსთან ერთად გადიან ენის კურსებს და შემდეგ ეუფლებიან მათთვის საინტერესო პროფესიებს, (სქემა №4.5) .

სქემა №4.5

ემიგრანტთა განაწილება უცხოეთში გამგზავრებამდე საქმიანობის მიხედვით



კვლევის ერთ-ერთი სიანტერესო და მნიშვნელოვანი კითხვა იყო ის, თუ სად არიან ემიგრანტები მიგრირებული, წასულთა დიდი ნაწილი თურქეთშია მიგრირებული უმრავლესობა

მუშაობს მომვლელად და მათგან 9 კი არის სამრეწველო საწარმოში დასაქმებული. მამაკაცები კი დადიან უმთავრესად სეზონურ სამუშაოებზე ეს იქნება საქმიანობა თხილის პლანტაციებში და სხვადასხვა ქარხნებში, საბერძნეთში ემიგრანტთა საერთო რაოდენობიდან 19 მიგრანტია წასული, (ასევე ცოტა მოულოდნელი იყო) 11 მიგრანტი ამერიკაში, როგორც ცნობილია ამერიაკაში მიგრირების მკაცრი ბარიერები არსებობს, ასევე ისრაელშია წასული 8 მიგრანტი, უკრიანაში 7 და საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა უკრაინაში წასულთაგან მამაკაცია, ასევეა პოლონეთშიც იქაც მხოლოდ მამაკაცები არიან წასული ეს გამოწვეულის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე მიგრანტები არიან ესპანეთში გერმანიასა და ინგლისში. (სქემა №4.5)

სქემა № 4.6



რაც შეეხება კითხვას „ეს მათი პირველი მიგრაცია იყო თუ არა?“ პასუხები შემდეგია: 49% თითქმის ნახევარი გამოკითხულთა ოჯახის მიგრანტის პირველი შრომით ემიგრაცია იყო,

19% სეზონუარად დადის თუქრეთში, თურქეთში მყოფი 7 მამაკაცის ოჯახიდან 3 პირველად იყო ხოლო 4 პერიოდულად დადის ხოლო ქალთაგან 16 პერიოდულად მიდის საშოვარზე 6 ქალი კი პირველად იყო გამოკითხვის მომენტში წასული შრომით ემიგრაციაში.

სქემა № 4.6

პასუხების განაწილება კითხვაზე „ ეს მისი პირველი გამგზავრება იყო შრომით ემიგრაციაში?“ მიხევდით.



შრომით ემიგრაციაში წასვლის წლები 2000 დან 2019 წლამდე მერყეობს წლებთან ერთად იზრდება წასულთა რაოდნეობაც.

ემიგრაციაში წასვლის მიზეზეზი უმეტესად ერთია და ეს არის მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი (81%) პასუხი, 14,3 პროცენტი აღნიშნავს, რომ ვერ იშოვა შესაფერის სამუშაო, ხოლო 4,7% პროცენტის პასუხი არის ის რომ ვერაიანირი სამუშაო ვერ იშოვა.

პასუხი კითხვაზე, თუ რას საქმიანობენ ამჟამად არის შემდეგი: მოხუცს უვლის, სახლებს ალაგებს,დამხმარეა ოჯახში, მზარეულია, მშენებლობაზე მუშაობს, მუშაობს თავისი პროფესიით, მუშაობს სამკერვალო ფაბრიკაში, ვერ დასაქმდა აქამდე. უმეტესობას (80%) არ აქვს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული, რაც იმას მიუთითებს რომ ისინი მუშაობენ არალეგალურად.

ემიგრანტების თვიური შემოსავალი მერყეობა (თუ დოლარებში გამოვსახავთ) 500$ დან 4000$, ყველაზე მაღალანაზღაურებადი ემიგრანტები არიან აშშ-სა და ისრაელში, ხოლო ყველაზე დაბალი ანაზღაურება თურქეთში 500$ დოლარი. რაც შეეხება ფულადი გზავნილების ოდენობას, იგი 200დან -2500$ დოლარამდე მერყეობს დანარჩენი თანხა ყოველდღიურ საჭიროებებში ეხარჯებათ: ბინა, კვება ტრანსპორტი. როგორც აღვნიშნეთ ზემოთ , ეს ფულადი გზავნილები საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნსთვის მაგრამ უმეტესობა გზანვილებისა იხარჯება პირველად მოხმარების საგნებზე და არ კაპიტალიზდება.

ერთ-ერთი კითხვა იყო თუ ვინ დარჩა ემიგრაციაში წასულ მოქალაქეს საქართველოში, ყველაზე მეტ პროცენტს 36% საქართველოში დარჩა მეუღლე და შვილები, რაც მოსალოდნელი იყო და კვევითად დადასტურად, რომ მიგრანტებს სამშობლოში რჩებათ ოჯახი რომელთა გამოც იღებენ მიგრირების გადაწყვეტილებას, 24% ყავს როგორც შვილი ისე შვილიშვილი და მეუღლე საქართველოში დატოვებული, 10%- მხოლოდ მშობლები , 8% მშობლები და მეუღლე, ასევე 10% მხოლოდ მეუღლე ყავს საქართველოში. 12% კი საკუთარი ოჯახის წევრი არ ყავს საქართველოში. ან ჩამოთვლილთაგან არცერთ კატეგორიას არ მიეკუთნება.(სქემა №4.7)

სქემა №4.7

ემიგრანტების ოჯახიდან საქართველოში დარჩა



საქართველოში დარჩენილი ოჯახის თვიური შემოსავალი, მერყეობს 0 ლარიდან 1500 ლარამდე, მთლიანად ემიგრანტის შმესოავალზე დამოკიდებულია ის ოჯახები, რომლებსაც მხოლოდ მეუღლე ან მხოლოდ შვილი დარჩა, აქ უფრო მაღალი შემოსავლის ოჯახები არის, რომლებსაც მშობლები და და-ძმა დარჩათ. მშობლების ძირითად შემსოავალს კი პენსია წარმოადგენს. გამოკითხულ ემიგრანტების ოჯახების 60% ძირითად შემოსავალს და საარსებო წყაროს წარმოადგენს ემიგრანტის გზავნილები. აღსანიშნავია რომ, 95,2 % სისტემატურად აქვს ოჯახის წევრებთან კავშირი, 4,8 % კი იშვიათად.

კითხვაზე:“არიან თუ არა ემიგრანტები, ემიგრაციით კმაყოფილნი“ 14,3 % პროცენტის პასუხი იყო, „დიახ“, 28,6%-სა კი „უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო“, ხოლო 57,1% პროცენტიაღნიშნავს, რომ „სხვა გზა არ არის, გამოსავალს ემიგრაციაში ხედავენ“.

საინტერესოა ისიც თუ რა პრობლემის მოგვარება შეძლეს მათ ემიგრაციაში წასვლით.

სქემა №4.

ძირითადი პრობლემები რისი მოგვარებაც შეძლეს ემიგრანტებმა



კითხვაზე :აპირებენ თუ არა სამშობლოში დაბრუნებას“, შემდეგი პასუხი მივიღეთ: 46,7-ს, ჯერჯერობით, არ გადაუწყვეტია საქართველოში დაბრუნება, 38,1% აპირებს, ხოლო 14,3 აღნიშნავს, რომ აპირებს დაბრუნებას მაგრამ არ შეწყვეტს ემიგრაციას. საინტერესო პასუხია „თუ აპირებენ დაბრუნებას შრომის ანაზღაურების რა მინიმალურ რაოდნეობას დათანხმდებიან, რომ დაბრუნდნენ?“ მინიმალური თანხა 1000 ლარი იყო. ზოგადად თუ შევაჯამებთ დავინახავთ, რომ საერთო მიზეზი, თუ რატომ იღებენ მიგრანტები ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებასა და სხვა ქვეყანაში მიგრირებას ეს არის ეკონომიკური ფაქტორი, მათ აქ მიღებული შემოსავლით არ შეუძლიათ უზრუნველყონ თავისი და თავიანთი ოჯახის წევრთა აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

თავი: V სამუშაო ძალის მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში

მიგრაციული პოლიტიკა არის საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და ქვეყნიდან მოსახლეობის გასვლის რეგულირებისაკენ. შესაბამისად, მიგრაციის პოლიტიკის მიმართულებებია: იმიგრაციული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია უცხოელთა ქვეყანაში შემოსვლის რეგულირებაზე და ემიგრაციული პოლიტიკა, რომელიც აწესრიგებს ქვეყნიდან მოქალაქეთა გასვლას და საზღვარგარეთ მიგრანტების უფლებების დაცვას. ეს დეფინიცია, არსებითად, ვრცელდება შრომითი მიგრაციის რეგულირებაზეც, ოღონდ რეგულირების ობიექტი ამ შემთხვევაში არის სამუშაო ძალის დასაქმება. შესაბამისად, შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობა სამუშაო ძალის ექსპორტისა და იმპორტის რეგულირებისათვის.

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე სტრატეგიული დოკუმენტია საქართველოსათვის. მსგავსი მიზნების მქონე პირველი დოკუმენტი 1997 წელს შეიქმნა, ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია, რომელშიც წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს ხედვა იმიგრაციული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო დაცვის და შიდა მიგრაციის შესახებ. კონცეფცია ძირითადად დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და არ გააჩნდა განხორციელების მექანიზმი კონკრეტული სამოქმედო გეგმის სახით. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ და მისმა სამოქმედო გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმების ინსტიტუციურ განვითარებას საქართველოში; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისაკენ. ამჟამად, დინამიურად ვითარდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების, არალეგალური მიგრაციის და ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს

მოქალაქეთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარებას, საქართველოში ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვას და ინტეგრაციის ხელშეწყობას. თანამედროვე გამოწვევებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ქმედითი ღონისძიებები ხორციელდება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად. მიგრაციული პროცესების ეფექტიანად მართვის და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, ინერგება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა. წინამდებარე სტრატეგია ეფუძნება უკანასკნელ წლებში მიგრაციის მართვის სფეროში მიღწეულ შედეგებს, ითვალისწინებს არსებულ გამოწვევებს და აყალიბებს მათთან გამკლავების მექანიზმებს.

საქართველოსთვის სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო იმიგრაცია. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს იმიგრაციული პოლიტიკის ლიბერალიზაციამ, ასევე ქვეყნის მიმზიდვლეობის ზრდამ არსებითად გაზარდა იმ უცხოელების რაოდნეობა, რომლებსაც სურთ საქართველოში შემოსვლა და საცხოვრებლად დარჩენა. დღეისთვის საქართველოში არ არსებობს იმიგრანტების ზუსტი სტატიკა. ასევე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა დიდი მასშტაბებისა და ინტენსივობის შიდა მიგრაცია. საკითხის პრობლემურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 30% დედაქალაქში, თბილისში ცხვორობს. პრობლემურია საქართველოს რეგიონების მოსახლეობისგან დაცლის ტენდენციები.

2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემები ადასტურებს, რომ 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 600,000 ადამიანით შემცირდა და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,729,500 ადამიანს შეადგენს.[1]ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მიგრაციის სტრატეგიის პრიორიტეტულ

[1] *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები.* .http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

მიმართულებებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნებისა და მათი რეინტეგრაციის პოლიტიკის ხელშეწყობისთვალსაზრისით.

მიგრაციის მართვისას მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს დიასპორისა და ზოგადად მიგრანტების პოტენციალის გამოყენებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის ასევე მნიშვნელოვანია იმიგრანტთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია და დაბრუნებული მიგრანტების მდგრადი რეინტეგრაცია.
მიგრაციის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელების ერთ-ერთი ქვაკუთხედი შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაა. მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის რეგულარული კვლევების განხორციელება და მათი შედეგების გათვალისწინება პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაში.

ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და მიგრაციული პროცესების ეფექტიანად მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, საზოგადოების კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის დონის კიდევ უფრო ამაღლება საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესზე, ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებსა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებისა და რისკების შესახებ.

წინამდებარე მიგრაციის სტრატეგია შემუშავდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოქმედი მიგრაციის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის მიერ.სტრატეგიის შემუშავების პროცესში მოხდა საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის შესრულების მდგომარეობის შესწავლა, განისაზღვრა ახალი სტრატეგიის ძირითადი თემატური მიმართულებები და განხორციელდა თითოეული მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზი. სიტუაციის ანალიზის და მის საფუძველზე გამოვლენილი სტრატეგიული ამოცანების განხილვის და შეთანხმების მიზნით, გაიმართა სამუშაო ჯგუფის სხვადასხვა ფორმატის ოცამდე შეხვედრა. დოკუმენტზე მუშაობის ბოლო ეტაპზე,

მიგრაციის სტრატეგიის პროექტი მოსაზრებების წარმოსადგენად გაიგზავნა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე აკადემიური წრეებისწარმომადგენლებთან. არასამთავრობო სექტორიდან წარმოდგენილი კომენტარები დეტალურად იქნა განხილული სამუშაო ჯგუფის მიერ და მათი დიდი ნაწილი გათვალისწინებულია წინამდებარე დოკუმენტში. მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესს და დოკუმენტის ტექსტის მომზადებას კოორდინაცია გაუწია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნომ.

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის მიზანია, 2020 წლისთვის საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას, იმიგრანტთა უფლებების დაცვას და საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოყენებას ქვეყნის განვითარებისთვის და გაზრდის საქართველოს მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებს.[1]

2000 წლიდან დღემდე ფულადი გზავნილების რაოდნეობა დაახლოებით 16 მილიარდი დოლარია ხოლო 2018 წლის მონაცემებით დაახლოებით მილიარდ ექვსასი მილიონი დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს შიდა პროდუქტის 9 % უტოლდება. ამ თანხის უდიდესი ნაწილი ქართველ შრომით მიგრანტებს ეკუთვნის. როგორია საქართვლეოდან წასული შრომითი მიგრანტების ოფიციალური ან არაოფიციალური სტატისტიკა ფორბსის მონაცემებით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარება: უმუშევრობა, უპერსპექტივობა ეს არის ალბათ ის უმთავრესი მიზეზები რის გამოც ჩვენი თანამოქალაქეები საქართველოს ტოვებენ. ბოლო ათწლეულში

[1] *მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2016-2020წლების მიგრაციის სტრატეგია, თბილისი 2015წ. გვ.6.*

უკეთესი ბედის საძიებლად და აქ დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად საქართველოდან სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემებით მილიონ ექვსასი ათასი მოქალაქე წავიდა და საქართველოდან წასული შრომითი მიგრანტების უმრავლესობა 57% არის ქალი. შრომითი მიგრაცია საქათველოსთვის შედარებით ახალი მოვლენაა, პირველი შრომითი მიგრანტები დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე გამოჩნდნენ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ უღარიბეს სახელმწიფოდ აქცია. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამ და სამხედრო კონფლიქტებმა მოიცვა, შედეგად 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 519 $ შეადგინა ეს მაჩვენებელი კი უფრო დაბალია ვიდრე დღევანდელი უგანდისა და ეთიოპიის. საქართველოში შექმნილმა გაუსაძლისმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებამ საქართველოს 10 ათასობით მოქალაქეს უბიძგა მიეტოვებინა სამშობლო, რადგან გახსნილი საზღვრები ამ ადამიანებისთვის ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი შანსი იყო. ამ დროისთვის კი არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა თუ რამდენმა მოქალაქემ დატოვა შიმშილის პირას მისულმა 90-იან წლებში საქართველო. ამ რთულ პერიოდში საქართველოდან გამგზავრების გადაწყვეტილება პირველებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა მიიღეს თუმცა მალევე მათ ეთნიკური ქართველებიც შეურთდნენ. უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოდან, შიმშილის, უშუქობის, უპერსპექტივობისა და ტოტალური კორუფციის გამო გარბოდნენ. საქართველოდან წასულ მიგრანტებს, პირველ ხანებში კაცები ჭარბობდნენ ქალებს, სხვადასხვა კულტურული თუ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ქართველი კაცების უკიდურესად მცირე ნაწილი იქცა შრომით მიგრანტად. ქართველი კაცები ბედის საძიელბად უმეტესად ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს მიმართავენ, განსაკუთრებით რუსეთსა და უკრაინას. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ ამ თემაზე ჩატარებულ ერთ-ერთ მასშტაბური კვლევის თანახმად ვითარება დღესაც 90-იანი წლების მსგავსია, კვლევის შედეგებით რუსეთში სამუშაოდ წასვლის სურვილს გამოკითხულ კაცთა 19% გამოთქვამს, კაცების 15% კი უკრაინაში წასვლის სურვილი აქვთ. იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ

გვაქვს და მათ ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს, უფრო ნათელი ხდება როგორ უჭირს მოსახლეობას. ამავდორულად კაცებთან შედარებით ქალთა გაცილებით მეტი რაოდენობა გამოთქვამს სურვილს წავიდნენ სამუშაოდ: თურქეთში, აშშ-ში, ისრაელში, საბერძნეთში და ა.შ. ქართველი ქალების მზარდი და წარმატებულ მიგრაცია საზღვარგარეთ, სხვადასხვა კულტურული ეკონომიკური და სოციალური მიზეზები გააჩნია. ქართველი ქალების დასაქმების ძირითად ნაწილად 90-იანი წლებიდანვე ევროკავშირის სახელმწიფოები იქცა. ევროკავშირის ბაზარზე გაცილებით უფრო დიდი მოთხოვნაა იმ მომსახურებაზე რისი მიწოდებაც ქართველს ქალებს შუეძლიათ, ამრიგად ქართველი ქალების შრომა ქართველ კაცებთან შედარებით გაცილებით დიდი მოთხოვნით სარგებლობს მსოფლიოს შრომით ბაზარზე. ქართველი ქალები გაცილებით უფრო შრომისუნარიანი და კონკურენტუნარიანი არიან. საქმე იმაშია, რომ საქართველოს მსგავსი კულტურის ქვეყანაში ფინანსური წყარო ძირითადად კაცი იყო, თუმცა გაუსაძლისმა პერიოდმა ქართველი ქალები იძულებული გახადა ახალი ფუნქცია შეეთავსებინა, რათა უბრალოდ გადარჩენილიყვნენ, რაც შეეხება ქართველი ქალების ძრითად პროფესიას ემიგრაციაში, ძირითადად დამხმარე პერსონალის, მომვლელის ძიძის და მზარეულის როლში გვევლინებიან, ხოლო როცა საქართველო შიმშილის პირას მივიდა სრულყოფილ პიროვნულ განვითარებასა და თავისუფალ არჩევანს მოკლებული ჩრდილში და სამზარეულოში მყოფი ქართველი ქალების მნიშვნელობა მთელმა ქვეყანამ სწორედ მაშინ დაინახა. გაუსაძლისი სიღარიბის პირას მყოფი ქართველი ოჯახების გადარჩენის მისია უმთავრესად ქალებმა აიღეს, ქართველი ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება, ხშირია შემთხვევები, როცა საკუთარ ოჯახს წლები ვერ ნახულობენ, დღეს უკვე ამ ქალების რუტინა უცხო მიწაზე უცხო ოჯახების მოვლაა, თუმცა ამ ქმედებასაც საფუძვლად საკუთარ ოჯახებზე ზრუნვის მოტივი უდევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილ ყოველ ევროსა და დოლარის უკან მათ მიერ გაყიდული ზრუნვა დგას გარდა ეკონომიკური სიდუხჭირისა. ქართველ ქალებს სამშობლოდან წასვლის კიდევ რამდნეიმე მიზეზი შეიძლება განვიხილოთ, მათ შორის, ოჯახური ძალადობა, შევიწროება თუ თავისუფლების შეზღუდვა და ასე შემედეგ.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თაობათა ცვლის პერიოდში სიტუაცია ბევრად გაუმჯობესებულია. ფაქტია, რომ სახარბიელო სიტუაცია არ გვაქვს მაგრამ ვითარება უკეთესობისკენ მიდის.

5.1 ლეგალური შრომითი მიგრაციის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე

ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის ღია, მიმზიდველი გარემოს შექმნის თვლაზრისთ, განვითარებული შრომის ბაზარი და შესაბამისი ადამიანური რესურსის მოზიდვის შესაძლებლობების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ლეგალური ემიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებასთან ერთად, საქათველოს მოქალაქეებისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება შედარებით მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობები განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. საქართველოს ეკონომიკის ზრდის პარალელურად, ქვეყნის შიგნით გაიზრდება მოთხოვნა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ისე დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამინურ რესურსზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წელს განახორციელა შრომის ბაზრის პირველი კვლევა. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს აღნიშნული ტიპის კვლევების რეგულარულად განხორციელება, რათა მათ შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდეს კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები, თუ რომელ სპეციალობებზე იზრდება მოთხოვნა და რამდენად მოქნილია შრომის ბაზარი, რომ უპასუხოს არსებულ მოთხვონებს. ასევე მნიშვნელოვნაია სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური რეაგირების მექანიზმების შემუშავება, როგორც ადგილობრივი რესურსის გადამზადების, ისე უცხოური რესურსის მოზიდვისთვის. აღნიშნული კი, გულისხმობს მოქნილი შრომის ბაზრის ფორმირებას. მიგრაციის სტრატეგიის მოქმედების პერიოდში სასურველია განხორციელდეს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის ეკონომიკაზე და შრომის ბაზარზე ზეგავლენის ანალიზი და საჭიროების შემთხვევში მისი შემდგომი დახვეწა.

5.2 არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა

არალეგალურ მიგრაციულ ნაკადებთან და მათთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა და მათი პრევენცია მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო უსაფრთოხების უზრუნველყოფისა და ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით. არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები დადებით გავლენას ახდენს ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების განვითარებაზე, ხოლო ლეგალური მიგრაციის საშუალებების გაფართოება და ხელმისაწვდომობა, დადებითად აისახება მიგრაციასთან დაკავშირებული არალეგალური საქმიანობისა და დანაშაულის სხვადასხვა ფორმების შემცირებაზე.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პოლიტიკური სტაბილურობისა და ევროკავშირთან დაახლოების კვალდაკვალ, იზრდება საქართველოს, როგორც დანიშნულების და სატრანზიტო ქვეყნის მიმზიდველობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ არალეგალური მიგრაციის ნაკადების მოცულობაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკნომიკურმა პროცესებმა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს მექანიზმი, რომელიც ეფექტიანად პასუხებს აღნიშნულ გამოწვევებს.

იმიგრაციული ნაკადების დიდი ნაწილი ქვეყანაში შემოსვლის წესის დაცვით შემოდის და იმყოფება კანონიერი საფუძვლით. თუმცა, გარკვეულწილად ადგილი აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობებს ან საქართველოში კანონიერი გზით შემოსვლის შემდეგ საქართველოში ლეგალურად ყოფნის წესების დარღვევას.[1] ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ეფექტიანი სასაზღვრო უსაფრთხოების და სასაზღვრო კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა, რაც დიდ წილად გულისხმობს გამართულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურას, ტექნიკურს აღჭურვილობასა და შესაბამისად მომზადებულ კადრებს; ასევე, ეფექტიან თანამშრომლობას შიდაუწყებრივ, უწყებათაშორის და საერთაშორისო დონეზე. მნიშვნელოვანია ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი

[1]საქართველოს მიგრაციის პროფილი, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები. (2015)

საფუძვლების გარეშე მყოფ პირთა გამოვლენის ქმედითი მექანიზმის არსებობა. ამ ფონზე მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის გაუმჯობესება და სათანადო ყურადღება მიექცეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამუშაოების გაგრძელებას.

დასკვნა

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მიგრაცია გარდაუვალია ისეთი განვითარებადი და ეკონომიკური თვალსაზრისით შეუმდგარი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სადაც ადამიანთა უმრავლესობა ვერ რეალიზდება, ვერ ახერხებს და საქმებას სასურველი პროფესიით, პირობებით და ანაზღაურებით. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქვეყნიდან ხდება ინტელექტის გადინება, იმადამიანთა უმრავლესობა, რომელთაც სურთ, რომ იყვნენ წარმატებულნი და აქვთ ამის რესურსი და საშუალება, სწავლას აუცილებლად საზღვრგარეთ აგრძელებენ, რადგან მეტი პერსპექტივა აქვთ განვითარების და ხშირ შემთხვევაში სამშობლოში აღარ ბრუნდებიან, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ერთ-ერთ უარყოფით მხარედ მიგრაციისა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკასთან. ქვეყანა არ უნდა კარგავდეს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც მომავლის შეცვლა უკეთესობისკენ შეუძლიათ და უნდა ჰქონდეს იმის რესურსი, რომ თავად უზრუნველყოს მათი რეალიზება.

შრომით ემიგრაციას ახლავს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. პოზიტიური შედეგები გამოიხატება შემდეგ ფაქტორებში: ფულადი გზავნილების დიდი მოცულობა და მის ხარჯზე სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ზრდა, სიღარიბის შემცირებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას უწყობს ხელს; შრომითი ემიგრანტების ფულადი სახსრების ინვესტირებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ეროვნული ვალუტის გამყარება, სავალუტორ რეზერვების სტაბილურობის ხელშეწყობა; ქვეყანაში უმუშევრობისა და არასსრული დასაქმების მასშტაბების შემცირება; ემიგრანტთა დაბრუნების შემთხვევაში, მათ მიერ უცხოეთში მუშაობისას დაგროვილი ცოდნისა და გამოცდიელბის, ახალი საწარმოო და ორგანიზაციული უნარების სამშობლოში გადმოტანა და თავისი ქვეყნის ადამიანური კაპიტალის გაზრდა; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად საჭირო პოტენციალის გაზრდა.

შრომით ემიგრაციას ასევე ახლავს უარყოფითი შედეგები და რისკები რომლებიც შემდეგში მდგომარეობს; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის კლების შედეგად ქვეყნის შრომითი პოტენციალის შემცირება; არალეგალური შრომითი მიგრაციის შემთხვევაში, სამუშაო ძალის სტიქიური მიწოდების გამო, მიგრანტების პოტენციალის გამოუყენებლობა და მათი ადამიანური კაპიტალის გაუფასურება. ფულადი გზავნილების დიდი ოდენობით შემოდინების შემთხვევაში, ინფლაციის ზრდა და გარკვეული ჯგუფის საქონელზე ფასების მატება; დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება (შობადობის შემცირება, დემოგრაფიული დაბერება, განქორწინების ზრდა); ხანგრძლივ ემიგრაციასთან დაკავშირებული რისკების გამწვავება, ეროვნული იდენტიფიკაციისა და თვითმყოფადობის დაკარგვა, ფულადი გზავნილების თანდათან შემცირება, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სრულფასოვანი რეინტეგრაციის სირთულეები, მიმღებ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენის დიდი ალბათობა.

მოცემული უარყოფითი შედეგების შემცირება დადებითი ეფექტის გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომითი ემიგრაციის სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომლის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირება და მიგრაციიდან მეტი ეფექტის მიღება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ,მიგრაციას ეკონომიკაზე დიდი ზეგავლენა აქვს,შრომითი მიგრაციის დადებითი ზეგავლენა კიდევ უფრო გაიზრდება,როდესაც მიგრანტი ემიგრაციაში წავა გარკვეული პერიოდით და არა,როგორც უმრავლეს შეთხვევაში ხდება, - სამუდამოდ,ასევე მიგრანტთა ფულადი გზავნილები უნდა მოხმარდეს რეალური სექტორის და წარმოების ხელშეწყობას და არ უნდა მიდიოდეს მთლიანი ფულადი გზავნილები მოხმარებაში.

აბაშის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ რეგიონში, ისევე როგორც მთელ საქართველოში მიმდინარეობს ინტენსიური შრომითი ემიგრაცია. მიგრანტთა ფულადი გზავნილებს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აქ დარჩენილი ოჯახების საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფაში და შესაბამისად მოსალოდნელია შრომითი

მიგრაციის მაღალი ინტენსივობის შენარჩუნება მომავალშიც. მიგრაციული ნაკადების ქვეყნებს შორის განაწილებაში დასტურდება ტენდენცია, რომ რუსეთისკენ მიმართ ემიგრაციული პროცესების ინტენსიურობა შემცირებადია, კვლავ მაღალია თურქეთისაკენ მიმართული დაბალეფექტიანი მიგრაცია. ამასთან ემიგრაცია ხდება უფრო ლეგალური. სასურველია მან მიიღოს დაბრუნებითი ხასიათი, რაც რადიკალურად შეამცირებს ამ მოვლენის მრავალ მხრივს უარყოფით ზეგავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ბუნტური გ. საქართველოს მიგრაციული პორტრეტი 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით. თბილისი, 2017.*

2. *ბუნტური გ. შრომითი მიგრაციული პროცესები თანამედროვე საქართველოში. თსუ, ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი IX, N2, 2016. თბილისი, 2017.*

3. გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალური ეკონომიკური შედეგები. გაერო. თბილისი, 1997.

4. გუგუშვილი ა. მიგრაციის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა ICMPD, თბილის, 2017

5. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. სახელმძღვანელო, გამომც. უნივერსალი, თბილისი, 2015.

6. დღევანდელი მიგრაციის პოლიტიკიდან გამომდინარე საფრთხრეების თავიდან აცილების გზები,მიგრაციის ცენტრი . თბილისი: გვ.11. 2012

7. საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC).დეკემბერი, 2011.

8. კალანდაძე ნ. შრომითი მიგრაცია,შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების წევრების უფლებები და საერთასორისო სამართლებრივი მდგომარეობა. თბილისი: თსუ გამომცემლობა,თბილისი, 2010.

9. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია,თბილისი 2015.

10. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ.https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732?publication=3

11. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები,ზოგადი ინფორმაცია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური,თბილისი 2014.

12. მექვაბიშვილი ე. გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, №2, 2015

13. საერთაშორისო კონვენცია შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ. თბილისი 1990.

14. საქართველოს მიგრაციის პროფილი, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები. 2015

15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები. .http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

16. საქართველოს ეროვნული ბანკი, გზავნილები ქვეყნების მიხედვით. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#analizuri

17. ტუხაშვილი მ. ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კრებული: მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი, 2003.

18. ტუხაშვილი მ. შელია მ. შრომითი ემიგაციის გავლენა საქართველოს დემოეკონომიკურ განვითარებაზე პოსტსაბჭოთა პერიოდი, უნივერსალი ,თბილისი, 2013.

19. ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის კვლევის სტრატეგიის შესახებ. თსუ. მიგრაციის კვლევის ცენტრი. კრებული: მიგრაცია – 7. თბილისი,. გვ. 127- 145. 2015

20. ტუხაშვილი მ. საქართველოს სამრეწველო ქალაქებში დაბრუნებული ემიგრანტები და მათი ეკონომიკური რეინტეგრაციის პრობლემები. ნათია ჭელიძე. დაბრუნებულ მიგრანტთა

პროფესიული რეინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. წყარო: თსუ. მიგრაციის კვლევის ცენტრი. კრებული: მიგრაცია - 5. თბილისი, 2011.

21. ჭელიძე, ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. ლეგა, თბილისი, 2006.

22. ჭელიძე, ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი: ლეგა გვ.10. 2007

23. Amelie Constant, IZA BONN, University of Bonn. Immigrant Performance and Selective Immigration Policy: A Perspective, Germany discussion Paper No.1715,august 2005, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=789444

24. European Traning Foundation Migration and Skills in Georgia, results of the 2011/12 migration survey on the relationship between skills, migration and developnet; p.38. 2013

25. ILO global estimates on mgiration workers 2015.

26. OECD DE VELOPMENT CENTRE. EFFECTS OF MIGRATION ON SENDING COUNTRIES: WHAT WE KNOW? By Louka T. Katseli, Robers E.B Lucas and Theodora Xenogiani Reaserch programme on: Economic and Social Effects of Migration on Sending Countries. June 2006

27. The World Bank, Topics in Development-Migration, Remittances, Diaspora and Development.http://www.worldbank.org/en/topic

28. worldbank,migration and remittances date,nobvember 2017.

29. World Migratiom 2008,Managing labour Mobility in the Evloving Global Economy,Vlolume 4,IOM Worls Migration Repors Serias,international Organization for migration, 2008.

30. БилсборроуР.Е., ХьюгоГ., ОберайА.С., ЗлотникХ. Статистикамеждународноймиграции. МБТ. Женева-Москва, 220 стр. 1999.

31. Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. "Demoscop Weekly", №207-208, 2005. www.demoscope.ru

32. Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Выпуск II. М. с.4 2001.

33. Раковская В. С., Соловьёва Н. Н., Туманова И. А. ТРУДОВАЯ МИГРАЦИЯ: ПОСЛЕДСТВИЯ ДЛЯ СТРАНДОНОРОВ И СТРАН-РЕЦИПИЕНТОВ // Современные проблемы науки и образования. – № 3. 2013.